# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 11 აპრილი 2006 №80 (2702) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჩვენნაირი მსაჯობა ბევრს სანატრელი აქვს

ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან 2



## ილია კოკაია: ფულს ვიშოვი და ჩამოვალ

4



## ხელისუფლება წვეთოვანას ამზადებს

ბევრს დასჭირდება სისხლის გადასხმა 13

# ...პლუს მთელი ქვეყნის ტოპმიოლერიზაცია



კლაუს ტოპმიოლერი უკვე მალტაზეა, სადაც საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებს მასპინძელ თანატოლებთან ევრო-2007-ის შესარჩევი ციკლის პირველი შეხვედრა ელის. თამაში ხვალ „ტა ქალიზე" გაიმართება და სასიამოვნოა, რომ ყველა ლეგიონერი უკვე 21-წლამდელთა თავკაც რალფ მინგეს განკარგულებაშია — წუხელ ყველანი შეიკრიბნენ. ტოპმიოლერი კი არათუ თამაშს დაესწრება, არამედ ვარჯიშებშიც აქტიურად ერთვება.

# მანჩესტერელი და ნაჩუქარი ხიზანიშვილი სამი წლით ბლექბერნელია





„ბლექბერნმა" „რეინჯერსისგან" იჯარით აყვანილი ზურაბ ხიზანიშვილი რომ გამოისყიდა, ადრეც გაუწყეთ, გუშინ კი „ბლექბერნმა" და ხიზანიშვილმა სამწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი...

— კონტრაქტს მე და კლუბის პრეზიდენტმა ჯონ უილიამსმა მოვაწერეთ ხელი. ყველაფრით კმაყოფილი ვარ, „ბლექბერნმა" კარგი პირობები შემომთავაზა — გვითხრა გუშინ კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ ხიზანიშვილმა.

— როცა „ბლექბერნში" გადახვედი, გუნდს მოკრძალებული მიზნები ჰქონდა, ახლა კი ჩემპიონთა ლიგის ან უეფას თასის საგზურისთვის იბრძვით...

— „ბლექბერნში" რომ მივედი, მიზანი ათეულში მოხვედრა იყო, ახლა კი ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის შანსი გაგვიჩნდა. მომდევნო ტურში „ლივერპულს" ვხვდებით და ეს მატჩი ბევრ რამეს გადაწყვეტს.

— შევიტყვეთ, რომ „ბლექბერნმა" „რეინჯერსისგან" ფაქტობრივად მუქთად ჩაიგდო ხელში...

— ვიცი, რომ „ბლექბერნმა" ჩემში „რეინჯერსს" ძალიან ცოტა გადაუხადა. „რეინჯერსთან" 2008 წლის ზაფხულამდე მქონდა კონტრაქტი. როცა გლაზგოელებმა „ბლექბერნში" გამანათხოვრეს, იმ ხელშეკრულებაში ეწერა ის თანხა, რომელიც „ბლექბერნს" ჩემი გამოსყიდვის შემთხვევაში უნდა გადაეხადა. გლაზგოელები ამ თანხაზე მეტს ითხოვდნენ, მაგრამ „ბლექბერნმა" საიჯარო კონტრაქტი წარმოადგინა და „რეინჯერსიც" ვერაფერს გახდა. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ „ბლექბერნმა" ჩემში, მგონი, 800-900 ათასი გირვანქა გადაუხადა „რეინჯერსს". „დეილი ტელეგრაფმა" დაწერა, „ბლექბერნმა" ხიზანიშვილის სახით, ფაქტობრივად, ნაჩუქარი ფეხბურთელი აიყვანაო.

— ბლექბერნში ცხოვრებას გლაზგოზე უფრო კარგად ეგუები?

— ბლექბერნში აღარ ვცხოვრობ, მანჩესტერში გადავედი, საიდანაც მანქანით ნახევარი საათის სავალზეა „ბლექბერნის" სავარჯიშო მოედანიც და სტადიონიც.

— „ბლექბერნში" ყველაზე უფრო ვის დაუმეგობრდი?

— ყველასთან მეგობრულად ვარ, მაგრამ განსაკუთრებით თუგაისთან. მე და თუგაი ოჯახებითაც ვახლობლობთ, ჩემი და თუგაის მეუღლეებიც მეგობრობენ.

**დავით თავართქილაძე**

# ნოდარ ახალკაცი: ჩვენნაირი მსაჯობა ბევრს სანატრელი აქვს

## მალტა ზესტაფონში და პროგრამა მალე იქნება

მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის, იზრდება დაძაბულობა და ინტრიგა, ხოლო რამდენიმე კლუბი უკმაყოფილოა სხვადასხვა საკითხით. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცსაც მეტწილად ეროვნულ ჩემპიონატზე ვესაუბრეთ...



— მეორე წრის გადატვირთულ კალენდარზე თითქმის ყველა გუნდის მწვრთნელი და ფეხბურთელი ჩივის...

— გადატვირთული კალენდარი მართლაც პრობლემატური აღმოჩნდა და ეს უნდა ვაღიარო, მაგრამ ისიცაა, რომ შეცდომა იმას მოსდის, ვინც მუშაობს. მომდევნო ეროვნულ ჩემპიონატში ასეთი გადატვირთული კალენდარი აღარ იქნება და თასის ფინალიც გაისად 26 მაისს გაიმართება.

— რამდენიმე კლუბი უკმაყოფილოა მსაჯობით. შესაძლოა, ზოგი ამით თავისი ცუდი შედეგის გამართლებას ცდილობს, მაგრამ ფაქტია, რომ უკმაყოფილება არსებობს...

— პრემიერლიგის წინა ტურში „არსენალი“ — „მანჩესტერის“ მატჩში მცველმა ხელით ითამაშა. ასეთი რამ საქართველოს ჩემპიონატში რომ მომხდარიყო, ერთი ამბავი ატყდებოდა. ჩვენთან რომ მსაჯობაა, ბევრს სანატრელი აქვს. როცა კლუბის წარმომადგენელი ამბობს, რომ მის გუნდს წარმატების მიღწევაში მსაჯებმა შეუშალეს ხელი, იქ მთავრდება ყველაფერი — ეს არის თავის მართლება და სხვა არაფერი.

— ქართველი მსაჯების ხელმძღვანელად ამირან კაჭახიძე დაინიშნა, ვისაც მანამდე მსაჯებთან მუშაობის გამოცდილება არ ჰქონია — რატომ მიიღო ფეხბურთის ფედერაციამ ასეთი გადაწყვეტილება?

— მას შემდეგ, რაც კაჭახიძეს მივანდეთ ეს საქმე, არ გამიგია, რომ რომელიმე გუნდის მიერ მსაჯი მოსყიდულია. ფაქტობრივად, არ არსებობს ასეთი მითი და თუ ასეთი მითი დამსხვრეულია, ესე იგი, კარგი სამუშაო ჩაგვიტარებია. რა თქმა უნდა, ჩვენს მსაჯებს შეცდომები აქვთ, მაგრამ მსაჯის შეცდომა მაშინაა კატასტროფული, თუ ის ამას შეგნებულად აკეთებს. ფეხბურთს ისიც ამდიდრებს, რომ მსაჯი იღებს გადაწყვეტილებას და ამას მის მაგივრად ვიდეოკამერები და რობოტები არ აკეთებენ.

— არსებობს ასეთი მითი, რომელსაც რამდენიმე კლუბის ხელმძღვანელი თუ მწვრთნელი ქადაგებს — მსაჯები შეფარულად „გვწვავენ“ და არა აშკარად. ასეთ დროს ჩვენი გუნდი დაცვაში თამაშგარეს ზღვარზე ვერ თამაშობს, რადგან ყველა საკამათო სიტუაციისას მსაჯი ჩვენ საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას მიიღებს...

— როცა მწვრთნელს იმის შნო არ აქვს, რომ თამაშგარეს ზღვარზე თამაში კარგად შეასწავლოს ფეხბურთელებს, მაშინ ამბობს ასეთ რამეს.

— რამდენიმე პერიფერიული გუნდის საშინაო მატჩებზე მაყურებლის მხრიდან დიდი აგრესიაა — როგორ აპირებთ ამ საკითხზე მუშაობას?

— იგივე პრობლემას ვაწყდებით ეროვნული ნაკრების მატჩებზეც — გულშემატკივარი საგანგებოდ მიდის სტადიონზე აგრესიის გამოსავლენად. გულშემატკივრებთან პირველ რიგში კლუბებმა უნდა იმუშაონ, კლუბის ხელმძღვანელობის და გუნდის მთავარი მწვრთნელის საქციელი სამაგალითო უნდა იყოს გულშემატკივრებისთვის, მაგრამ ხშირად ისინი ცუდ მაგალითს აძლევენ გულშემატკივრებს და ყველაფრის მსაჯზე გადაბრალებას ცდილობენ.

— გასაგებია, მაგრამ, ალბათ, არც მსაჯები არიან ფრთოსნები...

— პირველ წრეში ჩვენ გულდასმით ვაკვირდებოდით მსაჯებს და მერე გავატარეთ რეფორმა — რამდენიმე არბიტრი უკვე აღარ მსაჯობს და ვინც მსაჯობს, იმათ მკაცრი მოთხოვნები წავუყენეთ.

— რა ეტაპზეა ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამაზე მუშაობა?

— ის ბოლო სტადიაშია და უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება კიდეც. ამ პროგრამაზე ფედერაციის გარდა სპორტის და კულტურის სამინისტრო, ახალგაზრდობის და სპორტის დეპარტამენტიც მუშაობენ.

— თუ იქნება ამ პროგრამაში გათვალისწინებული ის, რომ ფეხბურთში ფულის ჩამდებ მეწარმეებს სახელმწიფომ საგადასახადო შეღავათები დაუწესოს?

— ამ თემის განხილვა მიდის, მაგრამ ეს ამ ეტაპზე ძალიან რთული საკითხია — ქვეყანაში ისედაც ბევრი საჭირბოროტო საკითხია გადასაწყვეტი. მაგრამ ვნახოთ, ფეხბურთში მოსაქმე ბიზნესმენებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესება შესაძლოა, დრომ მოიტანოს.

— როგორ ფიქრობთ, თექვსმეტგუნდა უმაღლესმა ლიგამ გაამართლა? ფაქტია, რამდენიმე გუნდს ფინანსური კრიზისი აქვს...

— უმაღლეს ლიგაში მართლაც არის რამდენიმე ასეთი გუნდი, თუმც ისიცაა, რომ პირველი ლიგიდან შესაძლოა, ისეთი გუნდები გადმოვიდნენ უმაღლეს ლიგაში, რომელთაც ამ გუნდებზე უკეთესი ფინანსური შესაძლებლობები გააჩნიათ. ისიც ვთქვათ, რომ უმაღლესი ლიგის თექვსმეტ გუნდამდე გაზრდამ გამოაცოცხლა კახეთის რეგიონი.

— ახალგაზრდულ ნაკრებზეც ვთქვათ — მალტელებთან საპასუხო შეხვედრა ზესტაფონში გაიმართება?

— ალბათ, ასე იქნება. მალტა თანახმაა, ზესტაფონში ითამაშოს, საქმის კურსშია უეფაც. ჩვენი გუნდი ქუთაისში, სასტუმროში დაბინავდება, სტუმრები კი ქუთაისის „ტორპედოს“ ბაზაზე.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები დღეს მალტაზე სრული შემადგენლობით პირველად ივარჯიშებს. გუშინდელმა დღემ კი წინასწარი გეგმის მიხედვით ჩაიარა და რაც მთავარია, სალამოსკენ ნაკრებში წვეული ყველა ფეხბურთელი სასტუმრო „ქოსთლაინში“ იყო. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი მწვრთნელები საქართველოს სხვადასხვა ნაკრებებში გადანაწილდნენ, ფედერაციის პრეზიდენტმა იმთავითვე განაცხადა, რომ ეს იქნებოდა ერთიანი სამწვრთნელო გუნდი კლაუს ტოპმიოლერის მეთაურობით. ჰოდა, რალფ მინგესთან ერთად გუშინდელ ვარჯიშს კლაუს ტოპმიოლერიც წარმართავდა. მათ განკარგულებაში 12 ფეხბურთელი იყო, თუმცა ვარჯიშის მსვლელობისას მალტის აეროპორტში ერთმანეთის მიყოლებით ჩადიოდნენ ჩვენებურები...

# ტოპი აქაც, ტოპი იქაც

## გერმანელებმა ქართველები შეავსეს



ახალგაზრდულის ბანაკს პირველნი გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე და მათე ღვინიანიძე შეუერთდნენ, რომლებიც მილანის გავლით ჩავიდნენ კუნძულზე. ასევე მილანის რეისით, ოღონდ ორი საათით გვიან ჩაფრინდნენ მალტაში კიეველები — ოთარ მარცვალაძე და ჯაბა კანკავა, მათ ვენიდან ნუკრი რევიშვილი და ფრანკფურტიდან ზაალ ელიავაც შეუერთდნენ.

რალფ მინგე და კლაუს ტოპმიოლერი დღეს ორჯერად ვარჯიშს გეგმავენ, ხვალ კი თბილისის დროით 20 საათზე „ტა ქალიზე“ მალტისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს დაიწყებენ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროსი სანდრო ცნობილაძე გუშინ მთელი დღე მალტის აეროპორტში მორიგეობდა და ლეგიონერებს აბინავებდა. მისი დახმარებით მოვახერხეთ გასაუბრება *გიორგი ჭელიძესთან*, რომელმაც მალტურ სასაზღვრო კონტროლს თითქმის ერთსაათიანი პროცედურების შემდეგ დააღწია თავი...

— ბურთი მრგვალი კია, მაგრამ არ არის მალტის ნაკრები ის გუნდი, რომ ვერ მოვუგოთ. მგონი, ნორმალური შემადგენლობა შევიკრიბეთ, ერთმანეთის თამაშიც კარგად ვიცით და ვნახოთ...

— მოსამზადებელ ეტაპზე მოსკოვის „ლოკომოტივის“ ლამის ყველა საკონტროლო შეხვედრაში გაგქონდა გოლი, ჩემპიონატში კი ჯერ არ გიმართლებს...

— მე კი არა, მთელ გუნდს სჭირს რაღაც. ცუდად ვთამაშობთ და ცუდი შედეგიც გვაქვს.

— ოთხიდან ერთი მატჩიც ვერ მოიგეთ. მუსლინს გუნდიდან გაშვება ხომ არ ემუქრება?

— არა მგონია, რატომღაც ძალიან ენდობიან, არადა, ბევრი გაუგებარი ტრანსფერი გააკეთა. ლამის ეზოს გუნდი გავხდით — ძირითად გუნდში 40 კაცი ვვარჯიშობთ.

**გიორგი ნოზაძე**

**საქართველოს 17 ჩემპიონატი**
**პირველი ლიგა**
**მეორე წრე**

**XXVII ტური**

10 აპრილი, ორშაბათი

ვიტ ჯორჯია 2 2:1 ზესტაფონი 2
მაღაროელი 6:0 იმედი
ამერი 2 3:1 გურია
რუსთავი 1:0 ჩიხურა
გაგრა 1:0 მესხეთი
თბილისი 2 2:0 ლიახვი
საგარეჯო 0:0 ზუგდიდი
დინამო 2 2:1 მეშაქრე
მერანი 5:0 მეშახტე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 27 | 20 | 3 | 4 | 74:26 | 63 |
| მერანი | 27 | 18 | 4 | 5 | 44:19 | 58 |
| გაგრა | 27 | 16 | 8 | 3 | 39:16 | 56 |
| დინამო 2 | 27 | 15 | 6 | 6 | 45:19 | 51 |
| ამერი 2 | 27 | 14 | 6 | 7 | 37:20 | 48 |
| რუსთავი | 27 | 12 | 7 | 8 | 39:28 | 43 |
| მეშაქრე | 27 | 12 | 4 | 11 | 36:29 | 40 |
| მესხეთი | 27 | 11 | 6 | 10 | 36:27 | 39 |
| გურია | 27 | 11 | 4 | 12 | 37:35 | 37 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 27 | 10 | 5 | 12 | 30:31 | 35 |
| თბილისი 2 | 27 | 9 | 7 | 11 | 25:33 | 34 |
| მეშახტე | 27 | 8 | 8 | 11 | 26:31 | 32 |
| მაღაროელი | 27 | 9 | 4 | 14 | 33:48 | 31 |
| ზუგდიდი | 27 | 8 | 7 | 12 | 15:23 | 31 |
| ზესტაფონი 2 | 27 | 8 | 5 | 14 | 22:40 | 29 |
| საგარეჯო | 27 | 7 | 6 | 14 | 25:37 | 27 |
| იმედი | 27 | 5 | 2 | 20 | 16:64 | 17 |
| ლიახვი | 27 | 4 | 0 | 23 | 19:72 | 12 |

**გერმანია**
მეორე ბუნდესლიგა
XXIX ტური
**დინამო 3:2 კარლსრუე**

**საფრანგეთი**
მეორე დივიზიონი
XXXIII ტური
**ვალანსიენი 2:0 გენგამი**

**იტალია**
სერია B. XXXVI ტური
**მანტოვა 0:2 ბოლონია**

**პორტუგალია**
სუპერლიგა
XXX ტური
**პენაფიელი 0:0 ბოავიშტა**

**ჩეხეთი**
გამბრინუს ლიგა
XXIV ტური
**ლიბერეცი 1:1 ტეპლიცე**

**ინგლისი**
კონფერენსლიგა
გადადებული მატჩები
**გრეისი 3:0 ექსეტერი**
**სოთპორტი 1:0 უოკინგი**

35-ე საფეხბურთო სკოლის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბონდო (ბაჩო) ვაჩაძე**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს

# რუსებმა მორიდებული გმირი აღმოაჩინეს

## დავით მუჯირი: რადიმოვს რაღაც მოეჩვენა

*დავით მუჯირმა „კრილიაში“ გოლების ათვლა დაიწყო და ყველა დააჯერა, რომ არათუ ძირითადში იმსახურებს ადგილს, არამედ გუნდის ლიდერობაც შეუძლია. ეს იმიტომ, რომ „კრილიას“ თავკაცი გაჯიევი აქამდე უმეტესად შეცვლებზე ათამაშებდა „მუმუს“. ახლა კი „ზენიტთან“ ჩვენიანმა ორი პენალტი შეაგდო, ერთი საგოლე პასიც გააკეთა, მთლიანობაში უდავოდ საუკეთესო იყო...*

*რუსმა ჟურნალისტმა მუჯირს ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც ქართველი თავს არ იქებს, მთავარია, გუნდმა მოიგო და რა აზრი აქვს, ვინ გაიტანა გოლებიო...*

— მატჩამდე იცოდით, რომ თუ პენალტი დაინიშნებოდა, თქვენ უნდა დაგერტყათ?

— არა, ეს მინდორზე გადაწყდა. ანდრეი გუსინს ვუთხარი, უეჭველად გავიტან-მეთქი და მანაც დამითმო.

— თქვენ ყოფილ კლუბებშიც პენალტისტი იყავით?

— არა.

— თამაშიდან თამაშამდე უმატებთ, თავდაჯერებულობაც გემატება...

— „კრილიასთან“ ერთად სეზონისწინა სრულყოფილი შეკრება არ გამივლია, ამიტომ თავიდან გამიჭირდა. თუმცა აქ ისეთი კარგი ატმოსფეროა, ახალწვეულს შეგუება არ გაუჭირდება.

— „ზენიტში“ ვლადისლავ რადიმოვია, „კრილიაში“ კი მუჯირი. თქვენმა დუელმა მატჩი უდავოდ გაალამაზა...

— წინასამატჩო მზადებისას იყო ლაპარაკი, რომ მე და რადიმოვს ერთმანეთის პირისპირ ხშირად მოგვიწევდა ბრძოლა — მე ეს დუელი მომეწონა. გაცილებით ძნელია ჩამშლელ ნახევარმცველთან ჭიდილი, ვიდრე რადიმოვისნაირ ტექნიკურ ფეხბურთელთან. ვფიქრობ, ორივემ კარგად ვითამაშეთ.

— და რა მოხდა მატჩის ბოლო წუთებში, როცა რადიმოვმა ყვითელი ბარათი მიიღო?

— მას მოეჩვენა, თითქოს მე პროვოკაციაზე წავედი, მაგრამ ასე არაა. ნამატჩევს მე და რადიმოვმა ვილაპარაკეთ და ჩვენს შორის პრობლემა აღარ არსებობს.

— „შტურმში“ ყოფნისას ალბათ კარგ მინდორზე თამაშს მიეჩვიეთ. „კრილიას“ სტადიონ „მეტალურგზე“ კი არცთუ ხასხასა გაზონია...

— ამ დროისთვის მინდორი ოპტიმალურია. თუ მომავალში გაუმჯობესდება, მთლად უკეთესი.

— და მაინც, წვიმის გამო მინდორი ატალახებული იყო...

— თავიდან მინდოდა, 13-ქაცვიანი ბუცებით მეთამაშა, მაგრამ 6-იანი ვარჩიე.

— მეორე ტაიმში „ზენიტმა“ რატომ წაგართვათ უპირატესობა?

— მართალია, შესვენების მერე არცთუ კარგად ვითამაშეთ. უბრალოდ, ანგარიშის შენარჩუნება გვინდოდა.

— შეიძლება ითქვას, რომ „ზენიტთან“ საუკეთესო მატჩი ჩაატარეთ?

— ვფიქრობ, უფრო კარგი მატჩები წინ მელის. ცხადია, ყველა შეხვედრას უმაღლეს დონეზე ვერ ვითამაშებ, მაგრამ უთუოდ ვეცდები.

— მატჩის მიწურულს რატომ შეგცვალეს?

— დასვენებული ფეხბურთელი გვჭირდებოდა და მწვრთნელებმა ალბათ დაინახეს, რომ დაღლილი ვიყავი. შესვენებისას „ზენიტმა“ ტაქტიკა შეცვალა და გორშკოვის გამოსვლის შემდეგ მოედნის ცენტრში გაგვიჭირდა.

— მატჩის გმირი იყავით, მაგრამ შეცვლისას ტრიბუნების წინ კეკლუცობა არ დაგიწყიათ, სწრაფად მოიცვით მოსასხამი და სათადარიგოთა სკამზე დაჯექით...

— მთავარია, მოვიგეთ და ყველაამ ყველაფერი გაილო. დანარჩენი მეორეხარისხოვანია...

— ყოველთვის ასეთი მორიდებული იყავით?

— ალბათ, კი. უკვე 28 წლის ვარ და სულაც არ მინდა, შევიცვალო.



დავით მუჯირმა და ვლადისლავ რადიმოვმა თამაშის მერე ყველაფერი გაარკვიეს




# ილია კოკაია: ჩემი კოკა არ გატეხილა
## ფულს ვიშოვი და ჩამოვალ

„ზესტაფონის“ პრეზიდენტი ილია კოკაია უკვე რა ხანია, შუაგულ ევროპაშია და საკლუბო საქმიანობას იქიდან ხელმძღვანელობს. მისი აქ არყოფნის პერიოდში კი ბევრი საინტერესო ამბავი მოხდა და ჭორებიც გავრცელდა, აქაოდა, „ზესტაფონს“ ფინანსურად ისე გაუჭირდა, შესაძლოა, სეზონის ბოლომდე ველარ მიატანოსო... ან თუნდაც ის რად ღირს, ჩემპიონატის მეორე წრეში „ზესტაფონმა“ შედეგი და თამაშის ხარისხი აშკარად რომ გამოასწორა და ამ დროს, ძალიან მოულოდნელად, კლუბში მწვრთნელი შეიცვალა... ამას წინათ კი ზესტაფონის სტადიონს გერმანელი არქიტექტორები ეწვივნენ და თქვეს, მალე ამ სარბიელის რეკონსტრუქციას დავიწყებთო... მოკლედ, „ზესტაფონის“ პრეზიდენტ ილია კოკაიასთან სასაუბრო, იცოცხლეთ, ბევრი დაგროვდა და ჩვენც ის ევროპაში მოვიკითხეთ...



— საქართველოში ჩამოსვლას როდის აპირებთ?

— როგორც კი საქმეებს მოვაგვარებ.

— მალე მოაგვარებთ?

— მალე. აქაც ფეხბურთის საქმეებზე ვარ.

— კონკრეტულად?

— ფული უნდა ვიშოვო და ფეხბურთს მოვახმარო, თორემ საქართველოში ფეხბურთიდან მოგება ჯერ არავის მიუღია.

— ეს ჯერჯერობით...

— თავადაც ამის იმედი მაქვს. ქართულ ფეხბურთში მდგომარეობა უნდა გამოვასწოროთ და ფეხბურთი მომგებიანი გავხადოთ. სწორედ ამიტომ ვარ ევროპაში.

— მაგრამ კლუბში უკვე დიდი ხანია, არ გამოჩენილხართ...

— სავალდებულოა, რომ ზესტაფონში ვიყო?! „ზესტაფონმა“, აგერ, ახლა თასის ნახევარფინალის პირველი თამაში სტუმრად მოიგო, იქამდე „სიონთანაც“ ძალიან კარგად ითამაშა... ეს ნიშნავს, რომ საკლუბო საქმეები კარგადაა და დავალებას ყველა ასრულებს.

— კი მაგრამ, ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ამბობენ, „ზესტაფონში“ საქმეები აირია და კლუბი ფინანსურ კრიზისშიაო...

— თუ კრიზისია, კლუბში ხელფასებს როგორ იღებენ?!

— ითქვა, მწვრთნელობიდან თემურ მახარაძე იმიტომ გაათავისუფლეს, რომ მან ფეხბურთელებისთვის კუთვნილი ფულის დარიგება მოითხოვაო...

— თემურ მახარაძე „ზესტაფონიდან“ არავის გაუთავისუფლებია. მან თავად დაწერა განცხადება და წავიდა.

— განცხადება რატომ დაწერა?

— ეს ჩვეულებრივი, საკლუბო საქმე იყო. კლუბის ხელმძღვანელობას სხვა მოთხოვნა ჰქონდა, მწვრთნელს — სხვა. ჩვენი აზრები განსხვავებული გამოდგა და მწვრთნელიც წავიდა. ასეთი რამ ნებისმიერ გუნდში შეიძლება მოხდეს. მაგალითისთვის ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი ფინალი გავიხსენოთ. მაშინ, როცა „მილანმა“ 3:0-ის შემდეგ „ლივერპულთან“ წააგო, ადრიანო გალიანიმ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის უსაყვედურა, მეორე ტაიმში „მილანს“ დაცვითი ფეხბურთი რომ არ ეთამაშა, ამ მატჩს მოვიგებდითო. ასეა, კლუბს თავისი პოლიტიკა აქვს და თუ ეს ვინმესთვის გაუგებარია, ჩემთვის კარგად გასაგებია.

— შეგიძლიათ, გვითხრათ, თქვენი მოთხოვნა რა იყო და მწვრთნელი რას არ ეთანხმებოდა?

— მიმაჩნია, რომ ფეხბურთი პირველ ყოვლისა სანახაობაა და გუნდმა ლამაზად, ქომაგის მოსაწონად უნდა ითამაშოს. ქომაგმა ტრიბუნაზე უნდა ისიამოვნოს, ამისთვის კი ფული გადაიხადოს. ფეხბურთი მხოლოდ შედეგი არ არის, თუმცა აუცილებელია, რომ შედეგი იყოს. გუნდი კარგია მაშინ, როცა თამაშითაც და შედეგითაც გასიამოვნებს. ამის გაკეთება ძალიან ძნელია და ბევრი მუშაობა სჭირდება. ჩვენ კი სწორედ ასეთი გუნდი გვსურს და შენებასაც ვიწყებთ.

— ეს ნიშნავს, რომ გუნდი თავიდან დაკომპლექტდება?

— არა. ვიცი, ბევრი ფიქრობს, ახლა „ზესტაფონიდან“ ვეტერანებს გაუშვებენ და ჭაბუკებს ათამაშებენო, მაგრამ ასე არ იქნება. ვინც დაიმსახურებს, ის ითამაშებს. ვეტერანები კი პირიქით, დიდ მადლობას იმსახურებენ იმისთვის, რომ ასე თამაშობენ და გუნდს მნიშვნელოვანი ქულები მოაპოვებინეს. ჩემთვის მწვრთნელს ჯერ არ უთქვამს, რომ რომელიმე ფეხბურთელის გაშვება სურს და არა მგონია, კობა ჟორჟიკაშვილი მსგავს რამეს ფიქრობდეს. როგორც იქნა, გუნდი შეთამაშდა და რა დროს ფეხბურთელების გაშვებაა?! მომავალი სეზონიდან გაძლიერებასაც ვაპირებთ.

— სიტყვამ მოიტანა და, ფეხბურთის ფედერაციის ბოლო ალმასკომზე მწვრთნელებს კლუბსა და ნაკრებში ერთდროულად მუშაობა აუკრძალეს. კობა ჟორჟიკაშვილი კი „ზესტაფონშიც“ მუშაობს და ასაკობრივ ნაკრებებშიც...

— ასეა, ჯოხი ყოველთვის „ზესტაფონზე“ უნდა გადატყდეს... ახლა არც კი ვიცი, რით შევავსებ ჟორჟიკაშვილის წასვლით გამოწვეულ დანაკლისს. კობა ჟორჟიკაშვილი „ზესტაფონისთვის“ მხოლოდ მწვრთნელი არ არის, ის აკეთებს ყველაფერს, რაც გუნდს სჭირდება. საყოფაცხოვრებო პრობლემებით დაწყებული, თამაშის ხარისხით დამთავრებული. თუმცა ისიც კარგია, ფეხბურთის ფედერაცია და ალმასკომი გარკვეულ დათმობაზე რომ წამოვიდნენ. ეს გადაწყვეტილება მხოლოდ სეზონის მერე ამუშავდება. იქამდე კი ჟორჟიკაშვილი ჩვენთანაც იქნება.

— ახალი სეზონიდან გუნდს ვის ჩააბარებთ?

— ჯერ არ ვიცი, რამდენიმე კანდიდატი გვყავს. მთავარია, რომ „ზესტაფონს“ ჩამოყალიბებული ხედვა აქვს, რაც ახალი მწვრთნელისთვის მისაღები უნდა იყოს.

— უცხოელ მწვრთნელებზე არ ფიქრობთ?

— არა, უცხოელი რომ ჩამოიყვანო, სავარჯიშო მოედანი მაინც უნდა დაახვედრო. თანაც მიმაჩნია, რომ ქართველ მწვრთნელებსაც შეუძლიათ გუნდის ისე მომზადება, მერე უცხოელს საქმე თავიდან საკეთებელი არ გაუხდეს. ამ ეტაპამდე კი „ზესტაფონი“ ჯერ მზად არ არის.

— ახლა უცხოეთში რომ ხართ, „ზესტაფონის“ განვითარებისთვის საჭირო პროექტები ჩაშლილია თუ შეჩერებული? ადრე ამბობდით, კლუბისთვის ბაზის მშენებლობას ვიწყებთო...

— ჩაშლილი არაფერი არ არის და საკლუბო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მუშაობა ძველებურად გრძელდება. ამას წინათ საქართველოში გერმანელი არქიტექტორები და მინდვრის სპეციალისტები რომ იყვნენ, „ზესტაფონს“ მომავალში სწორედ მათთან ექნება საქმე. ისინი შეღავათიანი პირობებით გაგვიკეთებენ ყველაფერს... ბაზასაც და სტადიონსაც დააპროექტებენ და მშენებლებსაც თავად ჩამოიყვანენ.

— ზესტაფონის გარდა ის გერმანელები თბილისშიც იყვნენ. იქნებ იცით, სტადიონების შემოწმების შემდეგ მათ რა დასკვნა გააკეთეს?

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, რაც მითხრეს, ისაა, ეროვნულ სტადიონზე სამუშაოები სასწრაფოდაა დასაწყები, თორემ შესაძლოა, დაინგრესო. გერმანელებს მოეწონათ „ლოკომოტივის“ სტადიონი, თუმცა იქ გაზონია გამოსაცვლელი. ხოლო „ზესტაფონის“ სტადიონზე ისინი სწორედ მოედნის საფარმა დააკმაყოფილა. ქანდის მეურნეობაში მომზადებული ბალახი კი არ ვარგაო. ეს გერმანელები ამ საქმეში ძალიან გამოცდილები არიან, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მათ ექვსი სტადიონის რეკონსტრუქციის შეკვეთა მიიღეს და ექვსივე უმაღლეს დონეზე გააკეთეს.

— ისე, საფეხბურთო ევროპაში საქართველოს ახლა როგორ უყურებენ?

— კლაუს ტოპმიოლერის ჩამოყვანის შემდეგ საქართველოს რეიტინგი ერთი-ორად გაიზარდა და ახლა ჩვენკენ სულ სხვა თვალით იყურებიან, ნაკრებისგანაც ბევრს ელიან.

**კობა ინასარიძე**

# ინტერტოტო და ვა, ტო!
## ჩვენები ისევ სომხები ეთამაშებიან?!

ეჰ, „ბანანცი“ გაგვახსენდა...

ქართულ-სომხური გუნდების შეხვედრას ამ ზაფხულშიც ვერ ავცდებით და ეს მოხდება ინტერტოტოს თასის პირველ ეტაპზე — 17-18 და 24-25 ივნისს. პირველი მატჩი სომხეთში გაიმართება, საპასუხო კი — საქართველოში.

ამ წყვილში გამარჯვებულს მეორე ეტაპზე ავსტრიულ კლუბთან მოუწევს შეხვედრა. მატჩები 1-2 და 8-9 ივლისს გაიმართება. თუ ქართულ-ავსტრიული დაპირისპირება შედგა, საპასუხო მატჩი მაშინაც საქართველოში იქნება.

მესამე ეტაპზე კი ქართულ-ავსტრიული წყვილიდან გასული პოლონურ, აზერბაიჯანულ ან მოლდოვურ კლუბს შეხვდება — ეს თამაშები 15-16 და 22 ივლისს გაიმართება.

მეოთხე ეტაპიდან კი ტურნირში უძლიერესი ევროპული ქვეყნების გუნდებიც ჩაერთვებიან...

შეგახსენებთ, შარშან ინტერტოტოზე „ვიტ ჯორჯიამ“ ითამაშა და პირველივე ეტაპზე უნგრულ „ლომბარდ პაპასთან“ სტუმრად 1:2, შინ კი 0:1 წააგო.

**ილია ნანობაშვილი**

# ყენია ბარსას შეეჩვია
## კიკნაძემ ლოკომოტივი კატალონიაში წაიყვანა

**თბილისის** „ლოკომოტივის“ 15 წლის თავდამსხმელი ლევან ყენია 10 დღით ბარსელონაში იყო სტაჟირებაზე.

გეცოდინებათ, „ლოკომოტივი“ ჯერ კიდევ შარშან დაუძმობრდა კატალონიური გრანდის ბავშვთა საფეხბურთო სკოლას. კერძოდ, „ბარსას“ ასაკობრივი ჯგუფის ერთ-ერთი მწვრთნელი იაგო აგილარი მას შემდეგ თბილისში საქმიანობს და თავიდანვე თქვა, თუ რომელიმე ქართველი ბავშვი მოგვეწონება, „ბარსაში“ სტაჟირებაზე გავაგზავნითო.

როგორც ყენიას ოჯახში გვითხრეს, ლევანმა „ბარსელონაში“ თავის თანატოლთა გუნდში ივარჯიშა, შემდეგ კი თბილისში დაბრუნდა.

ამჟამად ყენია ისევ კატალონიაშია — ბარსელონასთან მდებარე პატარა ქალაქში 1990 წელს დაბადებულთა ტურნირი იმართება, რომელშიც გიორგი კიკნაძის გაწვრთნილი თბილისის „ლოკომოტივიც“ მონაწილეობს.

**ილია ნანობაშვილი**

# დავით ყიფიანის თასი

## ნახევარფინალი. პირველი მატჩი

## აქცენტები



გაჩეი კოთოლაშვილის ფოტო

ასე არ ჯობია?! შედიხარ მალაზიაში, თან პროდუქტებს ყიდულობ, თანაც იგებ, შენი გუნდი მომდევნო მატჩს ვისთან და როდის გამართავს — საქართველოს ჩემპიონატის კალენდარი ბოლნისში, სტადიონისპირა მალაზიაშია გამოკრული.

მალაზიიდან ნახევარი მოედნის სავალზე კი ჩვენი თვალისთვის ჯერაც უცხო რამ ხდება. მატჩის განსასჯელად ჩასული მსაჯთა ბრიგადა ერთობ პეწიანად და სოლიდურად გამოიყურება. კაცმა რომ თქვას, ასეც უნდა იყოს, თუმცა მთავარი, ცხადია, კვალიფიკაციაა. აი, თეთრ ლაბადა-პერანგ-შარვალ-ბოტასიანი მამაკაცი კი, ვაი რომ, ვერ გამოიყურება სოლიდურად. ჩვენ სულაც არ გვანაღვლებს ის გარემოება, რომ სტადიონის დამცავ ჯებირზე გადაძრომისას მან შესაძლოა ლაბადა-პერანგ-შარვალი დაისვაროს, ან მავთულს გამოსდოს. ის კი გვანაღვლებს, როდის მოხერხდება ჩვენს სტადიონებზე ამ სენის აღმოფხვრა. ამასვე შეუწუხებია „სიონის" საპატიო პრეზიდენტი დავით კირკიტაძეც, რომლის ჟესტიც თეთრ ლაბადა-პერანგ-შარვალ-ბოტასიანი მამაკაცის დასაშოშმინებლად არის მიმართული.

ფეხბურთელ არჩილ ალავიძის დაშოშმინებას კი მისივე თანაგუნდელი ლაშა ჭელიძე ცდილობს, თუმცა მცდელობა დაგვიანებულია — ალავიძემ მოასწრო და, მეტოქეს ჯერ ფეხი ჩაარტყა, მერე კი ხელიც მიაყოლა... აი, ასეთი იყო „სიონ" — „ამერის" სათასო მატჩის რამდენიმე ფოტოაქცენტი.





გაჩეი კოთოლაშვილის ფოტო



გაჩეი კოთოლაშვილის ფოტო



# ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

## რას მიაგნო უკრაინის ფეხბურთმა

**5 აპრილს** მორიგი სხდომა გამართა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის „პატიოსანი თამაშის კომისიამ". მის შემადგენლობაში უკრაინულ ფეხბურთში ავტორიტეტული პიროვნებები შედიან, ხოლო კომისიის დანიშნულება გარიგებულ თამაშებთან ბრძოლაა. მისი შეკრების საბაბი შეიძლება გახდეს თამაშის გარიგების შესახებ საფუძვლიანი ეჭვი, რომელსაც მატჩზე დამსწრე საფეხბურთო ჩინოსანი ან სპორტული მედია გამოთქვამს.

5 აპრილს კომისიამ იმსჯელა პირველლიგელი ლვოვის „კარპატისა" და სუმის „სპარტაკის" მატჩის შესახებ, რომელიც 18 მარტს გაიმართა. შეხვედრა მასპინძლებმა 2:1 მოიგეს. „კარპატი" 90-ე წუთამდე 1:0 იგებდა, ბოლო წუთზე კი „სპარტაკმა" ანგარიში გაათანაბრა. კომისიის განხილვის საგანი არბიტრის მიერ დამატებულ ორ წუთში სუმელი ფეხბურთელების უმოქმედობა გახდა, რამაც „კარპატს" კიდევ ერთი გოლის გატანის და გამარჯვების საშუალება მისცა.

მატჩის ვიდეოფირის არაერთხელ განხილვის შემდეგ გაიმართა კენჭისყრა. კომისიამ ხმათა უმრავლესობით (რვა მომხრე, ორმა თავი შეიკავა) დაადგინა:

1. წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ ანგარიშის გათანაბრების შემდეგ სუმის „სპარტაკის" ფეხბურთელებმა თამაში განაგრძეს გულშემატკივართა ინტერესების იგნორირებით, ყოველგვარი სპორტული ჟინის გარეშე.

2. უკრაინის 2005-2006 წლების ჩემპიონატის რეგლამენტის შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება განხილვისა ᲓᲐ გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით გადაეცეს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ბიუროს.

რა კავშირი აქვს ზემოთ მონათხრობს ქართულ ფეხბურთთან? თითქმის არავითარი. ეს გარიგებულ თამაშებთან ბრძოლის ერთ-ერთი ვარიანტი გახლავთ და სურვილის შემთხვევაში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და პროფესიული ფეხბურთის ლიგას შეუძლიათ უკრაინელი კოლეგებისგან გაცილებით დეტალური ინფორმაცია გამოითხოვონ „პატიოსანი თამაშის კომისიის" ეფექტურობის თაობაზე. საინტერესოა, რომ კომისია ერთგვარად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს როლს ასრულებს და მხოლოდ ბრალეულობას განსაზღვრავს, კონკრეტულ სანქციას კი დამნაშავე კლუბს პროფლიგა აკისრებს.

უაზრობა იქნება იმის მტკიცება, რომ ქართულ ფეხბურთში თუნდაც მიმდინარე სეზონში არც ერთი თამაში არ გარიგებულა. ამას ნებისმიერი საფეხბურთო ჩინოსანიც დაგიდასტურებთ, თუმცა კონკრეტული ფაქტების გახმაურების მაგიერ ხელების შლას ვხედავთ — ფაქტები არ გვაქვსო.

თამაშის გარიგების შესახებ ორი გუნდის წარმომადგენლის მოლაპარაკებათა პროცესს არასოდეს არავინ დაგვასწრებს და თუკი ჭაობიდან თავის დაღწევა გვსურს, გარიგებულ თამაშებთან ბრძოლის სხვა მეთოდებია მოსაძებნი. უკრაინელებმა საამისო ნება გამოხატეს და რალაც მეთოდიც გამოძებნეს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკრაინული ფეხბურთი ერთხელ და სამუდამოდ „განიკურნა", თუმცა იქაური მედიის მტკიცებით, კომისიის შექმნამ გარკვეული პოზიტიური როლი ითამაშა და გარიგებების ოდენობა შეამცირა.

პრობლემა ფაქტების მოძიებაში კი არა, საამისო ნებაშია. არადა, ხშირად ფაქტებიც ხელისგულზე დევს. ნების უქონლობის პირობებში კი ვერანაირი კომისია ვერ გვიშველის და მისი წევრების ხმებიც აუცილებლად „ფიფთი-ფიფთი" გაიყოფა.

**გიორგი ნოზაძე**


ნდობის ტელეფონი
(18 წლიდან)
(822) 42-55-44 ქალაქიდან და ვერსხლიდან
822 006 005
822 006 099 მობილურებიდან
„მაგთი", „ჯეოსელი" -ქლ
თბილისი - 0,65 ლ

# ქართველები უცხოეთში



ოთარ მარცვალაძე (№6) საგოლე პასით გამოირჩა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | კიევო 4:1 | 90 | | 23 | 1 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | დუისბურგი 1:1 | 0 | | 27 | 2 | 4 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | ს | კიოლნი 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 14 | 0 | 15 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | პადერბორნი 1:0 | 90 | | 22 | 4 | 6 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | პადერბორნი 1:0 | 90 | | 5 | 0 | 6 |
| დავით სირაძე | აუე | ს | ოფენბახი 1:2 | 0 | | 8 | 4 | 9 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | ზტ. პაული | ს | კარლ ცაისი 0:1 | 22 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთ. | 21 | 2 | 5 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | ბაიროითი | შ | პფულენდორფი 2:0 | 17 | შეცვლაზე ითამაშა | 18 | 12 | 9 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | პორტსმუთი 2:2 | 90 | | 21 | 0 | 5 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ბაზელი | შ | ქსამაქსი 2:1 | 3 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 2 | 1 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | აიაქსი 0:1 | 90 | | 28 | 22 | 2 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | დენ ჰააგი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 9 |
| **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | | | |
| ლევან მელქაძე | ვოლერენგა | შ | ოდ გრენლანდი 0:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 9 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | სპარტაკი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 15 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | ს | სპარტაკი 1:2 | 18 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 15 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | ს | სპარტაკი 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| მიხეილ აშვეთია | რუბინი | ს | ნალჩიკი 1:3 | 90 | საგოლე პასი | 4 | 0 | 6 |
| გიორგი ქინქლაძე | რუბინი | ს | ნალჩიკი 1:3 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 6 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | ნალჩიკი 1:3 | 90 | | 3 | 0 | 6 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | ს | ნალჩიკი 1:3 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 6 |
| ზურაბ არზიანი | რუბინი | ს | ნალჩიკი 1:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| ბექა ჟღენტი | ტორპედო | ს | როსტოვი 1:1 | 0 | | 0 | 0 | 12 |
| დავით მუჯირი | კრილია | შ | ზენიტი 3:2 | 82 | 2 გოლი, შეცვალეს | 3 | 2 | 5 |
| გიორგი ლომაია | ლუჩ-ენერგია | ს | მოსკვა 1:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 14 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | შ | რუბინი 3:1 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 2 | 0 | 4 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | ს | სპარტაკი 2:0 | 70 | 1 გოლი, შეცვალეს | 2 | 1 | 6 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | ს | ვოლინი 3:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, საგ. პასი | 2 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | ს | ვოლინი 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | სტალი 2:1 | 52 | შეცვალეს | 7 | 2 | 10 |
| დავით კვირკველია | მ. ზაპოროჟიე | შ | სტალი 2:1 | 90 | | 5 | 0 | 10 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | ს | არსენალი 1:1 | 85 | საგოლე პასი, შეცვალეს | 20 | 6 | 7 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | ს | დნიპრო 2:1 | 90 | | 15 | 0 | 3 |
| კახა მჟავანაძე | ჩერნომორეცი | ს | დნიპრო 2:1 | 90 | გააფრთხილეს | 5 | 0 | 3 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | შ | ვორსკლა 2:2 | 0 | | 21 | 7 | 13 |
| ალეკო ამისულაშვილი | ტავრია | შ | ილიჩევეცი 0:1 | 90 | | 5 | 0 | 11 |
| ირაკლი ქორთუა | ტავრია | შ | ილიჩევეცი 0:1 | 0 | | 0 | 0 | 11 |
| ჯაბა კანკავა | არსენალი | შ | მეტალისტი 1:1 | 80 | შეცვალეს | 5 | 0 | 14 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | ს | მ. ზაპოროჟიე 1:2 | 90 | 1 გოლი | 22 | 2 | 15 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | პანიონიოსი 1:0 | 90 | | 21 | 0 | 6 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | მეტალურგსი 0:0 | 75 | შეცვალეს | 1 | 0 | 4 |
| ზაალ ელიავა | სკონტო | შ | მეტალურგსი 0:0 | 90 | | 1 | 0 | 4 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | მეტალურგსი 0:0 | 87 | შეცვალეს | 1 | 0 | 4 |
| თამაზ პერტია | დიტონი | ს | იურმალა 1:0 | 0 | | 0 | 0 | 2 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | ოლიმპიაკოსი 1:1 | 0 | | 17 | 7 | 4 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | შ | ოლიმპიაკოსი 1:1 | 90 | 1 გოლი | 20 | 5 | 4 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | შ | ოლიმპიაკოსი 1:1 | 0 | | 5 | 0 | 4 |
| ამირან მუჯირი | ანართოსისი | შ | ოლიმპიაკოსი 1:1 | 18 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 2 | 4 |
| ლევან ქებაძე | აშნა | შ | სალამინა 2:4 | 90 | 1 გოლი | 17 | 7 | 11 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ქართველების სა-გოლები

*ამ უქმეებზე დაიწყო ნორვეგიისა და ლატვიის ჩემპიონატები, სადაც ხუთი ქართველი თამაშობს.* სკანდინავიაში გადაბარგებულმა *ლევან მელქაძემ* უგოლო დებიუტი მოიწყო „ვოლერენგაში“, თუმც მარტო მან კი არა, ვერც ერთმა ოსლოელმა ვერ შეძლო „ოდ გრენლანდის“ კარის დალაშქვრა. მელქაძე მეორე ტაიმიდან ჩაერთო თამაშში და ერთხელ მიეცა ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ 15-16 მეტრიდან საგოლედ დარტყმა ვერ მოახერხა.

*ნულოვანი ფრით დაიწყო სეზონი მენთეშაშვილ-ელიავა-ჩალაძის „სკონტომაც“.* რიგელებმა ვერაფერი მოუხერხეს მოქმედ ჩემპიონ „მეტალურგსს“, ნამატჩევს კი ამ გუნდების ფანებმა მუშტი-კრივი გამართეს და გვარიანად დაალურჯეს ერთმანეთი. „სკონტოს“ ძირითადში სამივე ქართველი იყო, თუმცა ამათგან მხოლოდ ზაალ ელიავამ ითამაშა სრულად.

*რუსულ პრემიერლიგაში დავით მუჯირმა იყოჩაღა,* ორი გოლი გაიტანა და „კრილია სოვეტოვს“ ურთულესი მატჩი მოაგებინა „ზენიტთან“. „სამარა დიდი ხანი ელოდა ასეთ ნახევარმცველს“ — განაცხადა ნამატჩევს „კრილიას“ თავკაცმა გაჯი გაჯიევმა, ვისაც, ზოგადად, კომპლიმენტების დარიგება ძალიან არ უყვარს...

*საგოლე პასით გამოირჩა რუბინელი მიხეილ აშვეთია,* ვინც რუსმა ჟურნალისტებმა საუკეთესოდ მიიჩნიეს ყაზანელთა შორის, თუმცა ამით რა... „ნალჩიკმა“ 3:1 მოუგო „რუბინს“ და სატურნირო ცხრილში მეოთხე საფეხურამდე ავიდა.

*მეორე კიევური მატჩი და მეორე საგოლე პასი — ასეთია ოთარ მარცვალაძის მონაგარი.* „დინამომ“ 3:1 დაამარცხა „ვოლინი“ და მეორე გოლი სწორედ ქართველი ფორვარდის ჩაუქობით შეაგდო: ჩვენებურმა ორი მცველი მოატყუა და არტიომ მილევსკის ცარიელ კარში გაატანინა.

საგოლე პასით გამოირჩა *ლაშა ჯაკობიაც,* თუმცა მისი „მეტალისტი“ ქულასლა გამორჩა „არსენალს“; აი, *გიორგი ციმაკურიძემ* კი ზაპოროჟიეს „მეტალურგს“ ისეთი გაუტანა, უკრაინელებს სულ „შედევრ“, „შედევრ“ აძახებინა — „სტალის“ ქართველმა მცველმა 30 მეტრიდან ცხრიანში გაჭედა ბურთი.

*ორი ქართული გოლი გავიდა კვიპროსის ჩემპიონატში. კლიმენტი წიტაიშვილმა* პირველივე წუთზე გაუტანა „ოლიმპიაკოსს“, მაგრამ ეს „ანართოსისს“ ოდენ ქულისთვის ეყო, *ლევან ქებაძემ* კი თავისი ყოფილი კლუბი დასაჯა, თუმცა „სალამინამ“ მერე აიშვა და 4:2 დაამარცხა „აშნა“.

*თავის ყოფილ კლუბს შეხვდა შოთა არველაძეც.* „ალკმაარი“ „აიაქსს“ „ამსტერდამ არენაზე“ ესტუმრა და 0:1 წააგო. შოთამ სრულად ითამაშა და რამდენჯერმე საკმაოდ სახიფათოდაც დაუსხლტა მცველებს, თუმცა სეზონში თავისი 23-ე გოლის გატანა ვერ მოახერხა.

**კახა ზალამბერიძე**

# ეს ყველაფერი ნაგავია

## ნუთუ ოუენი ბავშვებს აფუჭებს?



**უეინ რუნისა** და ტოტალიზატორის სიყვარულის ამბავი ის ახალი თემაა, ბოლო დღეებში ინგლისურ ტაბლოიდებს პირველ პლანზე რომ აქვთ წამოწეული. გაირკვა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ 20 წლის თავდამსხმელს წაგებულ ქვითრებში 700 ათასი გირვანქა ჰქონია გადაყრილი და ამასთან ერთად გაირკვა ისიც, რომ რუნი მავან ბუქმეიკერ მაიკლ სმიტთან „ნიუკასლ იუნაიტედის“ ფორვარდ მაიკლ ოუენს დაუკავშირებია. ერთი სიტყვით, ტაბლოიდებმა ნიძლავებთან ერთად კიდევ ერთი ფსევდოსკანდალური ამბავი ააგორეს — „რუნი ოუენმა ჩაითრია“.

დავაზუსტოთ რაც ვიცით: ბუქმეიკერი სმიტი ოუენის ბიზნეს პარტნიორია. ოუენმა მას გააცნო არა მარტო უეინ რუნი, არამედ ჯონ ტერი, ფრენკ ლამპარდი და რიო ფერდინანდი, რომლებიც ნიუკასლელ მეგობარს არაფერს უჩივიან. სმიტმა გასულ ხუთშაბათს დაარსა საბუქმეიკერო კანტორა, სხვა სიტყვებით ტოტალიზატორი „გოლდჩიპი“ და ხმამაღლა აცხადებს, რომ მის მოქმედებებში არალეგალური არაფერია. ამბობენ, რომ „გოლდჩიპის“ დაარსებამდე ის მოქმედებდა, როგორც მოთამაშეთა კერძო ბუქმეიკერ-აგენტი. რამდენადაც ცნობილია რუნის მისთვის ნათქვამი ჰქონდა, რომ თუკი წაგებული თანხა დასაშვებ ზღვარს გადაცდებოდა, სმიტს იგი უნდა გაეფრთხილებინა და, ალბათ, ამიტომაც განაწყენდა.

თუმცა, როდესაც ჟურნალისტებმა „მანჩესტერის“ ფორვარდს ამის შესახებ ჰკითხეს, მან მიუგო:

„თუ ჩემს თამაშს დააკვირდებით, თქვენს კითხვაზე პასუხს ნახავთ“.

აქ აუცილებელია განმარტება: რუნის კომენტარი კვირას, „არსენალთან“ მატჩის შემდეგ სთხოვეს.

დაბოლოს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელის, ალექს ფერგიუსონის აზრი:

„ეს ყველაფერი სისულელეა. ცხადია ცხოვრებაში ასეთი რამ ხდება. ჩვენ თამაშის პრობლემა გვქონდა ჯორჯ ბესტთან, პოლ გესქოინთან, დევიდ ბექემთანაც. მოკლედ ეს ყველაფერი ნაგავია, მთავარია, რაც შეიძლება მეტი სარგებელი ვნახოთ“.

**პაპუნა ქედია**

# არსენი გამდიდრდება და პელეს იყიდის

**„არსენალი“** ამ ზაფხულს მწვრთნელს არსენ ვენგერს მოსაწონ სამწლიან კონტრაქტს გაუფორმებს და ზედაც ახალი ფეხბურთელების საყიდლად 46 მილიონ გირვანქას მიაყოლებს — ფრანგმა ხომ ლონდონელ „მეთოფეთა“ ისტორიაში უპრეცედენტო რამ მოიმოქმედა, გუნდი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გაიყვანა.

ერთი სიტყვით, ვენგერს, რომლის ხელფასიც წელიწადში სამი მილიონი გირვანქაა, სურვილის შემთხვევაში „არსენალში“ სამუდამო სამსახურის შოვნა შეუძლია.

რაც შეეხება სატრანსფერო თანხებს, აქამდე ფრანგი ამბობდა, რომ ზაფხულში 20 მილიონი მაინც დასჭირდებოდა, მაგრამ ახლა, თუ ლიგაში გაიმარჯვებს 26 მილიონს დაუმატებენ.

როგორც „არსენალში“ მომუშავე ერთ-ერთმა წყარომ გაზეთ News of the World-ს განუცხადა, მთელი ფული, რაც ჩემპიონთა ლიგიდან კლუბის სალაროში შევა, ვენგერს გადაეცემა და ის თავისი შეხედულებებისამებრ დახარჯავს. ცნობისათვის: მეოთხედფინალში „იუვენტუსის“ დამარცხებამ „არსენალს“ : მილიონი გირვანქა მოუტანა, ნახევარფინალში „ვილიარეალის“ ძლევა დამატებით 8 მილიონს, ფინალში „ბარსელონას“ ან „მილანის“ დამარცხება კი 13 მილიონს უქადის.

ირკვევა, რომ ვენგერს ზოგი ფეხბურთელი უკვე შეთვალიერებული და საყიდთა სიაში შეყვანილიც ჰყავს. კერძოდ, მეთოფეთა შეფს იმედი აქვს, რომ „იუვენტუსსა“ და „მილანს“ 19 წლის რენელი ნახევარმცველის იოან გურსუფის ყიდვას დაასწრებს. კიდევ, ოსტატობითა და სიმაღლით გამორჩეული „ლე მანის“ 23 წლის მეკარე იოან პელე ყოფილა შეგულებული და მას, ვენგერის აზრით, იენს ლემანის საიმედოდ შეცვლა შეუძლია, თან მრავალი წლით.

პელე: „ვიცი, რომ ჩემით „არსენალია“ დაინტერესებული. მათმა წარმომადგენლებმა რამდენჯერმე ნახეს ჩემი თამაში და თუ მიყიდიან, უბედნიერესი კაცი ვიქნები“.

ისე, 20 მილიონი, ეტყობა ვენგერის საყვარელი რიცხვია, რადგან სწორედ ამდენი დახარჯა მან იანვარში, როდესაც აბუ დიაბი, ემანუელ ადებაიორი და თეო უოლკოტი შეიძინა.

News of the World იმასაც წერს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე „არსენალთან“



ახალ კონტრაქტს გააფორმებს გუნდის მთავარი ვარსკვლავი ტიერი ანრი. დაბოლოს, ლონდონელები ახალი სეზონიდან ახალ, 60 ათასიან სტადიონზე გადადიან.

**პაპუნა ქედია**

# დიეგო ღმერთივით ერთია

## პელე შუშა არ არის, მაგრამ კანტონა მას ნაკრებში ვერ ხედავს





**„მანჩესტერ იუნაიტედისა“** და საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა ლიდერმა ერიკ კანტონამ ავსტრალიური საფეხბურთო ჟურნალის „4-4-2“-სთვის მსოფლიოს ყველა დროის იდეალური ნაკები შეადგინა, რომელშიც... პელესთვის ვერ გამონახა ადგილი.

„ბევრი ამბობს, რომ პელე ყველა ეპოქის საუკეთესო ფეხბურთელი იყო. მე ასე არ ვფიქრობ“ — აცხადებს კანტონა.

„მარადონა ყოველთვის სხვებზე უკეთესი იქნება. მან 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, 1990-ში მხოლოდ ფინალში დამარცხდა და 1994-ის მუნდიალზე ჯგუფური ეტაპის შემდეგ ტურნირს იძულებით ჩამოაშორეს. ამერიკაში დიეგოსთვის თამაში რომ არ აეკრძალათ, იმ ჩემპიონატსაც მოიგებდა“ — დარწმუნებულია კანტონა და პელე-მარადონას თემას განავრცობს:

„ყველაზე უმთავრესი განსხვავება პელეს და მარადონას შორის ისაა, რომ დიეგოს ნაკრებში გვერდით დიდი ვარსკვლავები არ ჰყოლია. თუ მარადონა 1986-ში არ ითამაშებდა, არგენტინელები მსოფლიოს ჩემპიონები ვერ გახდებოდნენ. ბრაზილია კი, დარწმუნებული ვარ, 1970 წლის მუნდიალის მოგებას პელეს გარეშეც მშვენივრად მოახერხებდა“.

ფრანგის შედგენილი მსოფლიოს ნაკრები კი ასეთი გახლავთ: რენე იგიტა; ჟუნიორი, ფრანც ბეკენბაუერი, ჯაჩინტო ფაკეტი; როი კინი, გარინჩა, კარლოს ვალდერამა, მარადონა, იოჰან კრუიფი; მარიო კემპესი, ჯორჯ ბესტი.

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიური** „ფიორენტინა“ დიდი ხანია, მანუელე ბლაზის უტრიალებს, მაგრამ მისი ხელში ჩაგდება ვერ მოახერხა. ზაფხულში კი „იებს“ კარგი შანსი მიეცემათ, რადგანაც „იუვენტუსი“ 25 წლის ნახევარმცველთან განშორებას გადაწყვეტს. იგი ტურინელთა ძირითადში ფაქტობრივად ვერ ხვდება. თანაც, სეზონის ბოლოს „დელე ალპიზე“ რამდენიმე ახალი ფეხბურთელის გადასვლაა დაგეგმილი და ფლორენციელებმაც ისევ ამოყვეს თავი. წესით, ტრანსფერის წინაალმდეგი არც ბლაზი უნდა იყოს.

**ესპანური** „ბეტისის“ ნახევარმცველი ხოაკინი მომავალი სეზონიდან შესაძლოა, აპენინებზე აღმოჩნდეს. ფეხბურთელმა უკვე განაცხადა, რომ კლუბის გამოცვლა უნდა და სხვა ქვეყანაში გააგრძელებს კარიერას. იტალიურმა გრანდებმა მყისვე ყურები ცქვიტეს. მის მთავარ მსურველად ჯერჯერობით ტურინის „იუვენტუსი“ სახელდება, თუმცა ხოაკინს ინგლისური კლუბებიც აკვირდებიან.

**იტალიური** სერია A-ს „ლეჩეს“ ორი ვარსკვლავით — კრისტიან ლედესმათი და მირკო ვუჩინიჩით — არაერთი კლუბია დაინტერესებული. სავარაუდოდ, სეზონის ბოლოს ორივე მათგანი დატოვებს „ვია დელ მარის“. „ბევრი გვიკავშირდება და ვეცდებით, საუკეთესოები გამოვარჩიოთ. თუმცა მნიშვნელოვან როლს თავად ლედესმასა და ვუჩინიჩის სიტყვაც ითამაშებს“ — თქვა „ლეჩეს“ გენერალურმა დირექტორმა კარლო რეგალიამ. აღვნიშნოთ, რომ მსურველთა შორის არაიტალიური კლუბების გარდა „იუვენტუსი“ „მილანი“, „ინტერი“, „ლაციო“ და „პალერმო“ არიან.

**ინგლისური** „ჩარლტონის“ მცველი ლუკ იანგის ტრავმა უფრო სერიოზული გამოდგა, ვიდრე თავიდან ჩანდა. არადა, სვენ გორან ერიკსონი მას ნაკრების ძირითად შემადგენლობაში მარჯვენა მცველის პოზიციაზე უპირებდა დაყენებას. ახლა კი იანგს შესაძლოა, მუნდიალის გამოტოვება მოუხდეს. „როდის დავუბრუნდები მინდორს, არ ვიცი. უარეს შემთხვევაში ეს მომავალ სეზონში მოხდება“ — თქვა ფეხბურთელმა.

**ფრანგული** „ბორდოს“ ნახევარმცველი ვლადიმირ შმიცერი შესაძლოა, მინდორს სეზონის ბოლომდე დაუბრუნდეს, რაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი თამაშის შანსს ზრდის. შეგახსენებთ, რომ ვეტერანი ჩეხი თებერვალში დაშავდა. 32 წლის ფეხბურთელმა გასულ კვირას ექიმისგან დამაიმედებელი პროგნოზი მიიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსოფლიოს თასი

## გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

FIFA FUSSBALL-WELTMEISTERSCHAFT DEUTSCHLAND 2006

D ჯგუფი

მექსიკა, ირანი
ანგოლა, პორტუგალია

# კვატემილია და ახალი თაობა

**როგორც** ყოველთვის, მექსიკის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ადვილად გავიდა. რიკარდო ლა ვოლპეს შეგირდებმა კარიბეთის, ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკის სხვა გუნდები ადვილად დაჯაბნეს და მუნდიალის საგზური გაინაღდეს. მთელი შესარჩევი ეტაპისას მექსიკელებმა ქომაგებს ორჯერ ატკინეს გული — პირველად ამერიკელებთან დამარცხდნენ მაიამიში, მეორედ კი, სათადარიგო შემადგენლობამ დუაიტ იორკის ტრინიდადთან ვერაფერი გააწყო. ეს იყო და ეს, მექსიკელებს გერმანიაში მოსახვედრად სხვა სიძნელე ფაქტობრივად, არ შეხვედრიათ.

ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მექსიკელებს მუნდიალზე მონაწილეობის უზარმაზარი გამოცდილება აქვთ. მათ მსოფლიოს 12 ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა, რითაც მსოფლიოს ჩემპიონები, ინგლისი და საფრანგეთიც ვერ დაიკვეხნიან. მონაწილეობა მონაწილეობად, მაგრამ მექსიკას დიდი გამარჯვებები ვერ ჩამოეთვლება. სამფეროვნები მხოლოდ ორჯერ იყვნენ მეოთხედფინალში (1970 და 1986) და ისიც მაშინ, როცა ჩემპიონატი მექსიკაში ჩატარდა.



* * *

*მწვრთნელი:* „დიდი ხანია, რაც ამ ქვეყანაში ვცხოვრობ და ვიცი, მექსიკის ნაკრებს რა შეუძლია. ჩვენ სეირნობით გავალთ 2006 წლის მუნდიალზე — შესარჩევ ეტაპზე ბევრჯერ ვიზეიმებთ გამარჯვებას“ — უთხრა ლა ვოლპემ 2003 წლის ოქტომბერში მექსიკელ ჟურნალისტებს იმ დროს, როცა სამფეროვანთა ნაკრებში მისი თავკაცობის ვადა იწურებოდა. 54 წლის ლა ვოლპე არგენტინელია და 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრების მესამე მეკარეც იყო. ფეხბურთელობისას „ბანფილდში“ და „სან ლორენსოში“ უთამაშია. შემდეგ კარიერა მექსიკაში განაგრძო — „ლოს პოტროსში“ და „ოაჩეპეკში“. სამწვრთნელო კარიერა კი „ოაჩეპეკში“ დაიწყო, მერე კი იყო „ანხელესი“, „ატლანტე“, „გვადალახარა“, „ამერიკა“ და „ტოლუკა“. ერთი სიტყვით, მექსიკური ფეხბურთი მართლა ხელისგულზე უდევს და მექსიკელებსაც სჯერათ მისი და ძალიან აფასებენ.

* * *

*კაპიტანი:* 1999 წელს მთელი მექსიკის კერპად ქცეულმა 20 წლის რაფაელ მარკესმა შინაური ლიგა მიატოვა და ფრანგულ „მონაკოში“ გადავიდა. მისი ევროდებიუტი იმავე წლის 14 აგვისტოს, „ბასტიას“ წინაალმდეგ შედგა. მარკესი პირველივე ფრანგულ სეზონში ჩემპიონი გახდა. თანაც, ფრანგებმა იმ სეზონის საუკეთესო ცენტრალურ მცველად აღიარეს. 2003 წლიდან რაფა მარკესი უკვე „ბარსელონაშია“ და კატალონური კლუბის ისტორიაში პირველი მექსიკელი შეიქნა. მას ნაკრებში 78 მატჩი ჩაუტარებია და საერთო შეფასებით, მექსიკელებში გამორჩეული ვარსკვლავია.

* * *

*საკვალიფიკაციო ეტაპის ვარსკვლავი:* ხავიერ ლოზანო ნახევარმცველი კია, მაგრამ გოლების გატანაც კარგად ემარჯვება. 1979 წელს დაბადებულმა ლოზანომ გერმანიის მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპზე 11 გოლი გაიტანა. პროფესიული კარიერა 1998 წელს „უნამ პუმასში“ დაიწყო, ეროვნულ გუნდში კი მისი დებიუტი 2003 წლის 15 ოქტომბერს შედგა ურუგვაის ნაკრებთან.

* * *

*ახლანდელი ვარსკვლავი:* მექსიკელთაგან ერთ-ერთი გამორჩეული კვატემოკ ბლანკოა, „ამერიკას“ 33 წლის ფეხბურთელი, რომელმაც ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა და მუდამ ლიდერი იყო. 1998 წლის საფრანგეთის მუნდიალზე ბლანკომ იმ დროისთვის უჩვეულო, თეთრი ბუცებით და მართლაც შესანიშნავი საფეხბურთო ფინტით — „კვატემილიათი“ — განაცვიფრა მსოფლიო. იგი ბურთს ფეხებშუა მჭიდროდ მოიგდებდა და მეტოქის მცველებს ხტუნვა-ხტუნვით გასცდებოდა ხოლმე. ჯამბაზობის გარდა, მას მეტოქის საჯარიმოს სერიოზულად აკლებაც ეხერხება და, თუ რიკარდო ლა ვოლპემ გერმანიაშიც გუნდის ლიდერობა ანდო, მასთან პირისპირ დარჩენილ მცველებს დიდი ოფლის ღვრა მოუწევთ.

* * *

*ლეგენდა:* ცხადია, უგო სანჩესი, მადრიდის „ატლეტიკოსა“ და „რეალის“ ლეგენდარული ფეხბურთელი ეროვნული გუნდის ყველა დროის საუკეთესოა. სანჩესმა „რეალში“ ესპანური პრიმერა ზედიზედ ხუთჯერ (1985-დან 1990 წლამდე) მოიგო. ითამაშა სამ მსოფლიოს ჩემპიონატში — 1978 წელს არგენტინაში, 86-ში მექსიკაში და 94-ში ამერიკაში. უგო სანჩესმა მუნდიალებზე რვა შეხვედრა ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა. საერთო ჯამში კი უპირველეს მექსიკელს სამფეროვანთა გუნდში 75 მატჩი გაუმართავს და 46 ბურთი შეუგდია.

* * *

**+** მეკარე ოსვალდო სანჩესი საუცხოო ფორმაშია, თუ ამას სოლიდურ დაცვას მივუმატებთ რაფაელ მარკესის თამადობით, მექსიკელთა მეტოქეებს გატანა გაუჭირდებათ.

* * *

**—** არგენტინისა და, შედარებისთვის, სენტ ვისენტის ნაკრებთანაც შეიძლება ერთ გოლზე მეტი ვერ გაიტანონ, რადგან მაღალი კლასის ფორვარდები აკლიათ.

*აზრი:* „ნახევარფინალში არასოდეს გავსულვართ, მეოთხედფინალში კი ბოლოს 1986-ში ვიყავით, როცა ჩემპიონატი ჩვენთან გაიმართა. გერმანიაშიც ალბათ შორს ვერ წავალთ, ჯგუფიდან კი უნდა გავაღწიოთ“ — პედრო ივან სანტანა, ჟურნალისტი.



რაფაელ მარკესი



უგო სანჩესი

## მექსიკის ნაკრების ჯგუფური მატჩების განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 11 ივნისი | მექსიკა — ირანი | ნიურნბერგი |
| 16 ივნისი | მექსიკა — ანგოლა | ჰანოვერი |
| 21 ივნისი | პორტუგალია — მექსიკა | გელზენკირხენი |

## მექსიკის გზა ფინალური ეტაპისაკენ

### I საკვალიფიკაციო წრე

| | | |
|---|---|---|
| 19.06.2004 | დომინიკ. რესპუბლიკა — მექსიკა | 0:10 |
| 27.06.2004 | მექსიკა — დომინიკ. რესპუბლიკა | 8:0 |

### II საკვალიფიკაციო წრე. III ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 08.09.2004 | ტრინიდადი — მექსიკა | 1:3 |
| 06.10.2004 | მექსიკა — სენტ ვინსენტი | 7:0 |
| 10.10.2004 | სენტ ვინსენტი — მექსიკა | 0:1 |
| 13.10.2004 | მექსიკა — ტრინიდადი | 3:0 |
| 13.11.2004 | სენტ კიტსი — მექსიკა | 0:5 |
| 17.11.2004 | მექსიკა — სენტ კიტსი | 8:0 |

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 6 | 6 | 0 | 0 | 27:1 | 18 |
| ტრინიდადი | 6 | 4 | 0 | 2 | 12:9 | 12 |
| სენტ ვინსენტი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:12 | 6 |
| სენტ კიტსი | 6 | 0 | 0 | 6 | 2:24 | 0 |

### III საკვალიფიკაციო წრე

| | | |
|---|---|---|
| 09.02.2005 | კოსტა რიკა — მექსიკა | 1:2 |
| 27.03.2005 | მექსიკა — აშშ | 2:1 |
| 30.03.2005 | პანამა — მექსიკა | 1:1 |
| 04.06.2005 | გვატემალა — მექსიკა | 0:2 |
| 08.06.2005 | მექსიკა — ტრინიდადი | 2:0 |
| 17.08.2005 | მექსიკა — კოსტა რიკა | 2:0 |
| 03.09.2005 | აშშ — მექსიკა | 2:0 |
| 07.09.2005 | მექსიკა — პანამა | 5:0 |
| 08.10.2005 | მექსიკა — გვატემალა | 5:2 |
| 12.10.2005 | ტრინიდადი — მექსიკა | 2:1 |

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 10 | 7 | 1 | 2 | 16:6 | 22 |
| მექსიკა | 10 | 7 | 1 | 2 | 22:9 | 22 |
| კოსტა რიკა | 10 | 5 | 1 | 4 | 15:14 | 16 |
| ტრინიდადი | 10 | 4 | 1 | 5 | 10:15 | 13 |
| გვატემალა | 10 | 3 | 2 | 5 | 16:18 | 11 |
| პანამა | 10 | 0 | 2 | 8 | 4:21 | 2 |

# რეალი 3:0 მარტინი
## მადრიდში პრეზიდენტს ჩახადეს





**მადრიდის** „რეალის“ პრეზიდენტმა ფერნანდო მარტინმა სამეფო გუნდის ფეხბურთელებისთვის დაწესებული სასჯელი გააუქმა, რაც ესპანურ მედიაში, მოგვიტევეთ და, ჭირვეული ვარსკვლავების წინაშე „შარვლის ჩახდად“ შეაფასეს. ახლავე მოგახსენებთ, რაც მოხდა. შაბათს, „სოსიედადთან“ ულიმღამო 1:1-ის შემდეგ, ლოპეს კაროს შეგირდების უსუსურობით გაბრაზებულმა პრეზიდენტმა გუნდი დასაჯა — ორდღიანი შესვენება გაუუქმა. კასტილიელები ზეგეგმით ვარჯიშებზე უნდა გადასულიყვნენ და ოთხშაბათამდე თავისუფლება თავიდან ამოეგდოთ. მარტინმა გუნდის კაპიტან რაულს ისიც დაავალა, რომ ვარჯიშზე მისულიყო და მადრიდელთათვის აღმზრდელობითი ნოტაციები წაეკითხა.

მერე, როცა გაბრაზების პირველმა ტალღამ გადაუარა, სენიორ პრეზიდენტი რატომღაც მოლბა და სასჯელი გააუქმა. „სამწუხაროდ, გამოჩნდა, რომ მარტინისთვის პრეზიდენტის თანამდებობა ძალიან მძიმეა. მან ფეხბურთელებს ხასიათის სისუსტე აჩვენა, რაც „რეალს“ არანაირ სიკეთეს არ მოუტანს“ — ეწერა გუშინდელ „ელ მუნდოში“.

ფერნანდო მარტინმა თავისი ფეხბურთელები და სამწვრთნელო შტაბი გუშინ დილას, 11 საათზე შეკრიბა ვალდებებას სპორტულ კომპლექსში. სანამ უშუალოდ შემადგენლობასთან მასლაათს გადაწყვეტდა, სამეფო თეთრების უფროსი ემილიო ბუტრაგენიოს და რამონ მარტინესს მოეთათბირა. სწორედ გუნდის ვიცე-პრეზიდენტმა და ტექნიკურმა დირექტორმა ურჩიეს სენიორ ფერნანდოს ნაჩქარევ გადაწყვეტილებაზე ხელი აეღო — აქაოდა, დიდ ფეხბურთში ცხელ გულზე გაკეთებულ საქმეს უფრო ხშირად კლუბი დაუზარალებია, ვიდრე ხეირი მოუტანიაო.

შემდეგ „სანტიაგო ბერნაბეუს“ ვარსკვლავებთან შეხვედრაც შედგა. კატალონიურ „სპორტს“ თუ დავუჯერებთ, იმ კრებაზე დამნაშავე და სასჯელისთვის გამზადებული ფერნანდო მარტინი უფრო იყო, ვიდრე „რეალის“ მოთამაშეები. ფეხბურთელები საწყალ პრეზიდენტს მგლებივით უყურებდნენ და სიტყვაც არ დაუძრავთ მაშინ, როცა „ბერნაბეუს“ თავკაცმა ორი დღის წართმევა კი არა, კინაღამ აქეთ მადლობა უთხრა ბიჭებს — რა კარგები ხართ, „სოსიედადთან“ ფრე რომ ითამაშეთო.

ამრიგად, სასჯელი გაუქმდა და „რეალის“ მხიარული კამპანიაც ოთხშაბათამდე ასევე მხიარულ მადრიდში მიმოიფანტა.

„სოსიედადთან“ „რეალმა“ 1:1 ითამაშა, თუმცა საკუთარ პრეზიდენტს დიდი ანგარიშით მოუგო. „ფერნანდო მარტინის ავტორიტეტი დაცემულია, მან ფეხბურთელები ჯერ შერისხა და მერე მოუბოდიშა“ — აღნიშნავს „სპორტი“.

**ლადო ხომერიკი**

# გაანებეთ ამ კაცს თავი!
## ეტოოს გული უკვდება: შავი მაიმუნობა გრძელდება



**კვირას** „ბარსელონას“ აფრიკელი თავდამსხმელი სამუელ ეტოო ესპანეთის ჩემპიონატის მატჩში უკვე ტრადიციადქცეულმა პრობლემამ შეაწუხა — კამერუნელი ფორვარდი „ელ სარდინეროზე“ „რასინგის“ ფანებმა რასისტული შეძახილებით შეურაცხჰყვეს. შეგახსენებთ, რომ ეტოოსთვის ფაშისტი ფანების აგრესია ახალი არ არის. ამ სეზონში კანის ფერის გამო „ლა რომარედაზე“ „სარაგოსას“ და „ალფონსო პერესზე“ „ხეტაფეს“ გულშემატკივრებმაც ლანძღეს. „ელ სარდინეროზეც“ ასე მოხდა. პირველი ტაიმის შუიდან მოყოლებული, სანტანდერელ მაყურებლების ერთმა ნაწილმა აფრიკელს „შავი მაიმუნი“ ეძახა. არბიტრმა ანტონიო პერესმა დაწყნარება სცადა. მისი მითითებით დიქტორმა გამოაცხადა, ეტოოს თავი დავანებოთო, თუმც აგრესიულად განწყობილმა სანტანდერელებმა პერესი და დიქტორი აიგდეს აბუჩად... თამაშის დამთავრების მერე ეტოოს კრინტი არ დაუძრავს. მასთან მისულ ბავშვებს ავტოგრაფები ჩამოურიგა და „ბარსელონას“ ავტობუსში თავისი ადგილი დაიკავა. სავარაუდოდ, გულშემატკივართა ხულიგნობის გამო ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია „რასინგს“ გვარიან ჯარიმას გამოუწერს.

მატჩი კი 2:2 დასრულდა. „რასინგი“ მოიგებდა, სამუელ ეტოოს „ბარსასთვის“ ქულის მომტანი მეორე გოლი რომ არ შეეგდო.

**ლადო ხომერიკი**



# მოვაგროვებ ფულს და ოქროს
## ჰიონესმა ბალაკში ევრო დაინახა

**მიუნხენის** „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰიონესმა გერმანულ „კიკერთან“ საუბარში მიხაელ ბალაკი ფულზე დახარბებულ კაცად გამოიყვანა. გეხსომებათ, ნახევარმცველმა მიუნხენელებთან კონტრაქტის გახანგრძლივება იუარა და გუნდის დატოვება აქვს გადაწყვეტილი, თუმც ეს გადაჭრით და ღიად ერთხელაც არ უთქვამს, რაც აღიზიანებს ჰიონესს. როგორც იცით, ბალაკის ხელში ჩაგდების სურვილი მრავალ კლუბს აქვს, მაგრამ „ჩელსიში“ მისი გადასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილი ჩანს.

ული ჰიონესი: „ნათელია, რომ მიხაელი არ მიდის ახალი ენის ან კულტურის შესასწავლად. უბრალოდ, მან სხვაგან გადასვლა მეტი ფულის გამო გადაწყვიტა“.

ცნობილია ისიც, რომ „ბაიერნის“ კაპიტანი და ლიდერი „ჩელსიმ“ მსუყე ხელფასით მოხიბლა. ამბობენ, ლონდონელები გერმანელს კვირაში 178 ათას ევრო გადაუხდიან, რითაც მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად აქცევენო.

„მიხაელს ვერ დავძრახავ და ჩემს სიტყვებს პრეტენზიად ნუ აღიქვამთ. უბრალოდ, კარგი იქნებოდა, ბოლომდე პირნათელი ყოფილიყო და პირდაპირ ეთქვა — მე მივდვარ, რადგანაც უფრო მეტი ფული მინდა“ — დასძინა ჰიონესმა.

**გიორგი ძაძამიძე**

## ფეხბურთის რუკასთან

**ესპანური** „ბარსელონა“ და „ვილიარეალი“ შეთანხმდნენ, რომ პრიმერადივიზიონის მომავალ ტურში შაბათის ნაცვლად პარასკევს ითამაშებენ, რაც ორივე გუნდს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისთვის უკეთ მომზადების საშუალებას მისცემს. შეგახსენებთ, რომ შეხვედრა „კამპ ნოუზე“ გაიმართება. ჩემპიონთა ლიგაში 18 აპრილს „ბარსელონა“ „მილანს“ ეწვევა, მეორე დღეს კი „ვილიარეალი“ „არსენალს“ ესტუმრება.

**იტალიელი** ნახევარმცველი სტეფანო ფიორე მუნდიალზე თამაშის იმედს არ კარგავს. იანვარში „ვალენსიადან“ „ფიორენტინაში“ განათხოვრებული ფეხბურთელი არცთუ ურიგოდ თამაშობს და ეიმედება, რომ ამას მარჩელო ლიპიც შეამჩნევს. „შანსი ჯერ კიდევ მაქვს და ვეცდები მწვრთნელს თავი მოვაწონო. გერმანიაში მოხვედრა ძალიან მინდა, მაგრამ თუ არ წამიყვანეს „სკუადრა ადურას“ მაინც მთელი გულით ვუქომაგებ“ — აღნიშნა ფიორემ.

**ესპანური** „დეპორტივო“ 35 წლის ფრანსისკო მოლინასთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს. ლაკორუნიელთა თავკაცი ხოაკინ კაპაროსი მას ისევ ენდობა და კლუბი მეკარესთან ერთწლიან შეთანხმებას გააფორმებს.

**ბრაზილიელ** მცველ კაფუს „მილანში“ დარჩენა უნდა. მის კონტრაქტს ვადა სეზონის ბოლოს ეწურება და ამბობენ, 35 წლის ფეხბურთელი კარიერის დასასრულებლად სამშობლოში დაბრუნებას აპირებსო. თუმცა თავად კაფუ სხვაგვარად ლაპარაკობს: „მე არასდროს მითქვამს, რომ გადაწყვეტილება უკვე მივიღე. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ და დარჩენა მინდა“.

**ესპანურ** „ვალენსიას“ ვიგოს „სელტას“ ფორვარდი ფერნანდო ბაიანო სურს. ბრაზილიელმა თავი ჯერ კიდევ გასულ სეზონში გამოიჩინა, როდესაც იანვარში „მალაგას“ ათხოვეს და მისი გოლებით ანდალუზიური კლუბი პრიმერადივიზიონიდან გავარდნას გადაურჩა. ახლა იგი „სელტაშია“. „ღამურები“ დავიდ ვილიასთვის ღირსეულ მეწყვილეს ეძებენ და ბაიანო ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი ყოფილა.

**ბულგარეთის** ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ ნახევარმცველმა მარტინ პეტროვმა შესაძლოა, კარიერა თურქეთში გააგრძელოს. ესპანელებმა იგი ტრანსფერზე დააყენეს და მისით უკვე დაინტერესდნენ „გალათასარაი“, „ბაიერნი“ და „ფიორენტინა“, თუმცა ყველაზე მეტად სტამბოლელები აქტიურობენ, რომელთაც უკვე კონტრაქტიც გაუმზადებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სანამ თამადა მოვიდოდეს

## მირკო სლომკა ხუმრობას აგრძელებს

**გერმანულ** „შალკეს“ მომავალ სეზონშიც მირკო სლომკა უთავკაცებს. მან გელზენკირხენელები 3 იანვარს ჩაიბარა დროებითი მწვრთნელის სტატუსით. ეს მას მერე მოხდა, რაც რალფ რანგნიკმა გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპიდან მერვედფინალში ვერ გაიყვანა და ბუნდესლიგაშიც „ხუმარების“ მდგომარეობა არცთუ სახარბიელო იყო. 38 წლის სლომკას გამოუცდელობის გამო ბევრი ალმაცერად უყურებდა, მაგრამ ახალგაზრდა მწვრთნელმა გაამართლა. მის ხელში „შალკემ“ სულ ორჯერ წააგო.

მოგეხსენებათ, გელზენკირხენელები უეფას თასის ნახევარფინალში არიან გასულები, სადაც ესპანურ „სევილიასთან“ მოუწევთ შებრძოლება. მართალია, „შალკე“ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებასთან ახლოს არც ახლაა და ჩემპიონატის ბოლო ორ ტურში ოდენ ერთი ქულა აიღო, მაგრამ სლომკას ამის გამო არ უჩივიან. გუნდის ხელმძღვანელობამ მასთან ერთი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი.

**კოკი კანდელაკი**

# ინტერმა თავში ქვა იხალა



**„სარბიელის“** მკითხველს მოეხსენება, რომ მილანის აეროპორტში, რომელსაც „მალპენზას“ უწოდებენ, კვირას ჩხუბი ატყდა — ასკოლიდან შინ დაბრუნებულ „ინტერის“ ფეხბურთელებს დაახლოებით ასი გულშემატკივარი დახვდა და გინება დაუწყო. მიზეზი: შავ-ლურჯებმა წინა კვირაში, ესპანურ „ვილიარეალთან“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი წააგეს და ქომაგებს იმედი გაუწბილეს. შემდეგ, გინება ფანების მხრიდან რალაც საგნების სროლაში გადაიზარდა და არც გაწევ-გამოწევამ დაიგვიანა. ნასროლ საგანთაგან ერთ-ერთი, თავში კრისტიანო ძანეტის მოხვდა.

„კონტროლს გავდიოდით, როდესაც ქომაგების ჯგუფმა დაცინვა დაგვიწყო — განუცხადა ძანეტიმ „კონტროკამპოს“ — ძირითადად იმავეს იძახდნენ, რაც „ვილიარეალთან“ მატჩის დროს უკვე ვისმინეთ. გვეგონა, როდესაც მანქანების სადგომთან მივიდოდით, და ჩვენს მანქანებში ჩავსხდებოდით, ყველაფერი დამთავრდებოდა, მაგრამ დაახლოებით ასმა კაცმა გინებას საგნების სროლაც მოაყოლა. მე ქვა მომხვდა. გაოგნებული დავრჩი, რადგან ადრე ასეთი არაფერი მომხდარა“.

მოგვიანებით, გაზეთებში გამოითქვა ვარაუდი, თითქოს, ძანეტი სამიზნედ იმიტომ ამოირჩიეს, რომ იგი ზაფხულში „იუვენტუსში“ გადადის, თუმცა თავად ფეხბურთელმა ეს მოსაზრება უარყო:

„არა მგონია ამ ამბავთან „იუვენტუსი“ რაიმე კავშირში იყოს. ბოლოს და ბოლოს სადგომზე მარტო ხომ არ ვიყავი. იქვე იყვნენ ხავიერ ძანეტი, სინიშა მიხაილოვიჩი, პიერ ვომე და მგონი კიდევ ვილაც“.

ამასობაში კი დაირხა ხმა, რომ პარასკევს გადმოტანილი მილანური დერბი, „მილანი“ — „ინტერი“ შეიძლება საღამოს კი არა, შუადღისას ჩაატარონ. იტალიური ფეხბურთის შეფები შიშობენ, რომ „ინტერის“ აგრესიული ქომაგები ამ დღეს საშინელ ამბავს ატეხავენ და თამაშს ისევე ჩაშლიან, როგორც შარშან, ამავე გუნდების ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩი ჩაშალეს.

რობერტო მანჩინიმ თქვა, „ინტერთან“ კონტრაქტის დასრულების შემდეგ იტალიიდან წავალო.

**პაპუნა ძიძია**

# ნაბიჯ-ნაბიჯ

## ლემანს შამპანური დაავიწყდა

**იურგენ კლინსმანის** წამოწყებული, ლემანისა და კანის შეჯიბრი გასულ პარასკევს „არსენალის“ მეკარის გამარჯვებით დასრულდა. მსოფლიოს ჩემპიონატზე ბუნდესნაკრების კარს „მეთოფე“ დაიცავს, კანი კი სათადარიგო იქნება. ჰოდა, „კიკერიც“ გამარჯვებულ მეკარეს ესაუბრა.

— პირველ ნომრად დასახელება თქვენთვის შვებაა თუ ტვირთი?

— კლინსმანის გადაწყვეტილებით ჩემთვის არაფერი შეცვლილა.

— რატომ, თქვენ ხომ კანთან შეჯიბრში გაიმარჯვეთ?

— მსოფლიოს ჩემპიონატამდე ორი თვეა და ამჟამად მხოლოდ „ვილიარეალთან“ მატჩზე ვფიქრობ, რომელიც მომავალ კვირაში გველის. ლიგაში გამარჯვება მსურს და მერე ნაკრების დროც მოვა. პირველობის გამო ეიფორიაში არ ვარ, რადგან კარიერაში ბევრი რამ გადამიტანია, თუმცა სასიხარულოა, რომ მწვრთნელი მენდო.

— „არსენალის“ მწვრთნელი შიშობდა, რომ კანთან შეჯიბრს თქვენზე უარყოფითად არ ემოქმედა. როგორ გაუძელით ამ ბრძოლას?

— ყველაფერი გავაკეთე იმის დასამტკიცებლად, რომ ნაკრების მთავრმეკარეობა დამემსახურებინა და ეს ბრძოლა მომეგო. მგონი, კლინსმანი არჩევანში არ შემცდარა.



— აქამდე კანის ჩრდილში იყავით, მაგრამ „იუვენტუსთან“ კარგი თამაშის შემდეგ ალბათ უკვე ფიქრობდით, რომ ბუნდესმწვრთნელი თქვენ აგირჩევდათ...

— არ მიფიქრია. უბრალოდ, ყოველთვის ოპტიმისტი ვიყავი.

— ოლივერ კანზე რას იტყვით?

— რა თქმა უნდა მესმის მისი, რადგან მე თვითონ ხშირად ვმჯდარვარ სათადარიგოთა სკამზე უიმედოდ.

— კანთან ბრძოლის მოგებამ დაგამშვიდათ?

— ამაზე საუბარი არ მსურს. ძალიან ბევრი ვიშრომე რომ პირველი გავმხდარიყავი და მირჩევნია, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოვემზადო, ვიდრე კანზე ვიფიქრო.

— კლინსმანმა გადაწყვეტილება რომ გაცნობათ, შამპანური გახსენით?

— არანაირი შამპანური. კლინსმანმა დამირეკა და მითხრა, რომ პირველ ნომრად ამირჩია. ჩემი მიზანიც მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში იყო, რასაც მივაღწიე. მე ხომ ამისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივდიოდი.

### უკრაინა

**უმაღლესი ლიგა. XXV ტური**

ხარკოვი — მეტალურგი (დ) 1:0; მეტალურგი (ზ) — სტალი 2:1; ტავრია — ილიჩევეცი 0:1; ვოლინი — დინამო 1:3; დნიპრო — ჩერნომორეცი 1:2; კრივბასი — ვორსკლა 2:2; არსენალი — მეტალისტი 1:1; შახტარი — ზაკარპატია 3:0

### ავსტრია

**I დივიზიონი. XXVII ტური**

აუსტრია (ლ) — აუსტრია (მ) 3:2; გრატკორნი — შვანენშტადტი 3:0; კერნტენი — ალტახი 0:1; კუფშტაინი — კაპფენბერგი 1:1; ლეობენი — ლინცერი 1:1

### შვეიცარია

**ჩელენჯლიგა. XXVIII ტური**

ბადენი — კიასო 1:2; შო დე ფონი — ბელინცონა 2:4; ლოზანა — ბოლში 3:0; ლუცერნი — ლოკარნო 1:0; სიონი — კრინსი 2:0; ვინტერთური — ვოლენი 2:3; ლუგანო — კონკორდია 3:0; მეირინი — ვილი 0:0; ვადუცი — იუვენტუსი 3:1

### სლოვაკეთი

**I ლიგა. XXVI ტური**

დუბნიცა — ნიტრა 2:1; პუხოვი — ტრნავა 0:2; რუჟომბეროკი — ბანსკა ბისტრიცა 1:0; ჟილინა — ინტერი 1:1; არტმედია — ტრენჩინი 3:1

### ნორვეგია

**ტიპელიგა. I ტური**

ჰამ კამი — ვიკინგი 0:0; მიოლდე — ტრომსიო 3:1; სტაბეკი — სანდეფიორდი 0:0; სტარტი — ლინი 0:0; ვოლერენგა — ოდ გრენლანდი 0:0; ლილესტრიომი — რუსენბორგი 3:3; ფრედრიკსტადი — ბრანი 1:1

**I დივიზიონი. I ტური**

ბოდიო გლიმტი — სპარტა 1:0; ბრინი — ლოვ ჰამი 1:0; ჰაუგესუნდი — ფოლო 1:0; კონგსვინგერი — მოსი 1:0; ოსლო — ჰიონეფოსი 2:2; პორს გრენლანდი — სოგნდალი 3:1; სტრიომსგოდსეტი — ჰიოდი 1:1; ტრომსდალენი — ალესუნდი 1:2

### დანია

**I დივიზიონი. XIX ტური**

ფრედერისია — კოლდინგი 0:1; ჰელერუპი — ბრიონსჰიოი 1:1; ფრემი — აკადემისკი 3:1; ლიუნგბიუ — ბრაბრანდი 1:1; ჰერფიოლგე — ვაილე 0:1; რანდერსი — ფრემადი 2:0. იოლსტიკე — კიოგე გადაიდო

### შვედეთი

**ალსვენსკა. II ტური**

ჰელსინგბორგი — გაის 1:0; გეფლე — კალმარი 2:2; ჰეკენი — ჰალმსტადი 0:0; ელფსბორგი — გიოტებორგი 1:1; იორგრიტე — მალმიო 1:2; იოსტერსი — აიკ 0:4; იურგორდენი — ჰამარბი 0:0

### ირლანდია

**პრემიერდივიზიონი. V ტური**

კორკი — ლონგფორდი 2:1; დერი — ბოჰემიანსი 1:0; დუბლინ სიტი — სლიგო 0:0; სენტ პატრიკსი — დროჰედა 0:1; უოტერფორდი — შელბურნი 0:1; დუბლინი — ბრეი 4:1

### იაპონია

**ჯეი ლიგა. VII ტური**

კოფუ — ნიიგატა 0:4; იჩიჰარა — სერეზო 2:1; ნაგოია — კიოტო 1:1; ომია — იოკოჰამა 2:1; ჰიროშიმა — კავაზაკი 1:3; ტოკიო — ივატა 3:1; გამბა — კაშიმა 1:0; შიმიცუ — ოიტა 4:1; ფუკუოკა — ურავა 0:1

### აშშ

**მეიჯორ სოკერ ლიგა. II ტური**

ვაშინგტონი — ჩივასი 2:0; ნიუ იორკი — ნიუ ინგლენდი 0:0; დალასი — სოლტ ლეიკი 2:1; ჰიუსტონი — კანზასი 1:2; კოლორადო — კოლუმბუსი 3:1; ლოს ანჯელესი — ჩიკაგო 1:1

### მექსიკა

**კლაუსურა. XIV ტური**

ხაგუარესი — ატლანტე 1:0; ტოლუკა — ტიგრესი 1:1; კრუზ ასული — ვერაკრუსი 3:0; მონტერეი — სან ლუისი 0:1; მორელია — გვადალახარა 2:0; ატლასი — სანტოსი 3:3; პაჩუკა — ნეკაქსა 4:1; ტეკოსი — დორადოსი 1:1; ამერიკა — უნამი 1:3

### არგენტინა

**კლაუსურა. XIV ტური**

ოლდ ბოისი — ლანუსი 1:2; ესტუდიანტესი — ხიმნასია (ხ) 0:4; არსენალი — ოლიმპო 0:0; ტირო ფედერალი — სან ლორენსო 0:1; ველესი — ინდეპენდიენტე 0:2; რასინგი — ხიმნასია (ლ) 0:1; ბანფილდი — როსარიო 2:0; კილმესი — არგ. ხუნიორსი 2:1; რივერ პლეიტი — ინსტიტუტო 3:1; კოლონი — ბოკა ხუნიორსი 1:2

### ჩილე

**პრიმერადივიზიონი. XI ტური**

ესპანიოლა — ევერტონი 3:3; რეინჯერსი — ანტოფაგასტა 2:2; ჰიგინსი — ლა სერენა 3:2; კოკიმბო — იტალიანო 1:0; უონდერერსი — უაჩიპატო 1:0; კონსეპსიონი — კობრელოა 1:0; უნივერსიდად დე ჩილე — კოლო კოლო 1:3; კობრესალი — პალესტინო 4:0; მორნინგი — უნივერსიდად კათოლიკა 1:0

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,
II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 23:00 | 565 | პორტსმუთი-არსენალი | 4.70 | 3.40 | 1.70 | 1.97 | 1.24 | 1.13 |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 1 | მანჩესტერი-სანდერლენდი | 1.15 | 5.80 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.18 |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 15:45 | 3 | ბოლტონი-ჩელსი | 4.00 | 3.30 | 1.85 | 1.80 | 1.26 | 1.18 |
| 18:00 | 5 | ევერტონი-ტოტენჰემი | 2.50 | 3.10 | 2.65 | 1.38 | 1.28 | 1.42 |
| 18:00 | 6 | ფულემი-ჩარლტონი | 2.20 | 3.00 | 3.20 | 1.26 | 1.30 | 1.54 |
| 18:00 | 7 | არსენალი-ვესტ ბრომვიჩი | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| 18:00 | 9 | ნიუკასლი-უიგანი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 18:00 | 10 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 18:00 | 11 | ვესტ ჰემი-სიტი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 15:00 | 12 | ასტონ ვილა-ბირმინგემი | 2.15 | 3.00 | 3.30 | 1.25 | 1.30 | 1.57 |
| 17:30 | 13 | ბლექბერნი-ლივერპული | 3.00 | 3.10 | 2.30 | 1.52 | 1.30 | 1.32 |

**ინგლისი. I ლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 46 | კოლჩესტერი-ჰარტლპული | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| 22:45 | 47 | უოლსოლი-ბორნმუთი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 22:45 | 48 | სუონსი-სუინდონი | 1.60 | 3.30 | 5.50 | 1.07 | 1.23 | 2.06 |

**ინგლისი. II ლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 72 | როჩდეილი-კარლაილი | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 73 | ჩესტერი-რექსემი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |

**ინგლისი. კონფერენსი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 97 | [illegible] | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 18:00 | 563 | სკარბორო-ტემუორთი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |

**შოტლანდია. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 119 | დანდი-ბრეჩინი | 1.50 | 3.80 | 5.00 | 1.07 | 1.15 | 2.15 |

**შოტლანდია. II დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 125 | გრეტნა-სტირლინგი | 1.37 | 4.20 | 6.00 | 1.03 | 1.11 | 2.47 |

**გერმანია**
**I ბუნდესლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 17:30 | 136 | შალკე-კიოლნი | 1.35 | 4.50 | 7.50 | 1.03 | 1.14 | 2.81 |
| 17:30 | 138 | ბაიერნი-არმინია | 1.28 | 4.60 | 9.00 | 1.00 | 1.12 | 3.04 |
| 17:30 | 140 | დუისბურგი-ჰამბურგი | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| 17:30 | 141 | აინტრახტი-მაინცი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 17:30 | 142 | ჰერტა-დორტმუნდი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 17:30 | 143 | ლევერკუზენი-გლადბახი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 17:30 | 650 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 3.20 | 3.10 | 2.10 | 1.57 | 1.26 | 1.25 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 144 | ნიურნბერგი-ლაუტერნი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 19:30 | 145 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 2.55 | 2.80 | 2.80 | 1.33 | 1.33 | 1.39 |

**გერმანია, რეგიონალლიგა (ჩრდ.)**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 156 | ჰერტა(მ)-კიოლნი(მ) | 1.60 | 3.60 | 4.60 | 1.10 | 1.18 | 2.01 |
| 19:30 | 157 | ჰამბურგი(მ)-ლევერკუზენი(მ) | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 21:00 | 158 | ქემნიცი-კილი | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |

**ავსტრია**
**ბუნდესლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22:15 | 177 | პაშინგი-რაპიდი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 178 | ზალცბურგი-რიდი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 21:30 | 179 | აუსტრია-მატერსბურგი | 1.30 | 4.40 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.83 |
| 21:30 | 181 | გრაცერი-ადმირა | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 21:30 | 182 | ტიროლი-შტურმი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |

**ავსტრია. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 189 | აუსტრია(მ)-ალტახი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 20:00 | 190 | ლეობენი-კაფენბერგი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 20:00 | 191 | კუფშტაინი-გრატკორნი | 2.75 | 3.20 | 2.20 | 1.47 | 1.22 | 1.30 |

**შვეიცარია**
**სუპერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 197 | აარაუ-ბაზელი | 3.80 | 3.20 | 1.80 | 1.73 | 1.22 | 1.15 |
| 21:30 | 198 | გრასჰოპერი-თუნი | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| 21:30 | 199 | ქსამაქსი-ციურიხი | 3.50 | 3.30 | 1.85 | 1.69 | 1.21 | 1.18 |
| 21:30 | 201 | იანგ ბოიზი-შაფჰაუზენი | 1.55 | 3.50 | 5.10 | 1.07 | 1.18 | 2.07 |

**ესპანეთი**
**I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 246 | ატლეტიკო-ბილბაო | 1.85 | 3.20 | 4.10 | 1.17 | 1.27 | 1.79 |
| 20:00 | 247 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1.50 | 3.70 | 6.20 | 1.06 | 1.20 | 2.31 |
| 20:00 | 249 | ბეტისი-სელტა | 2.15 | 3.00 | 3.30 | 1.25 | 1.30 | 1.57 |
| 20:00 | 250 | ხეტაფე-რეალი | 3.50 | 3.20 | 2.00 | 1.67 | 1.27 | 1.23 |
| 20:00 | 252 | დეპორტივო-სევილია | 2.15 | 3.00 | 3.35 | 1.25 | 1.30 | 1.58 |
| 20:00 | 253 | მალიორკა-ალავესი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 20:00 | 254 | ოსასუნა-მალაგა | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 20:00 | 255 | სოსიედადი-რასინგი | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| 20:00 | 256 | ვალენსია-ესპანიოლი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 20:00 | 258 | სარაგოსა-კადისი | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |

**პოლონეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 375 | ბელჩატოვი-პოგონი | 2.25 | 3.10 | 2.85 | 1.30 | 1.25 | 1.48 |
| 20:30 | 376 | არკა-კრაკოვია | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 20:30 | 377 | ამიკა-კორონა | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 20:30 | 378 | გროცლინი-ოდრა | 1.75 | 3.20 | 4.10 | 1.13 | 1.22 | 1.79 |
| 20:30 | 379 | გურნიკი-ზაგლებე | 2.80 | 3.10 | 2.25 | 1.47 | 1.24 | 1.30 |
| 22:00 | 380 | ვისლა-პლოცკი | 1.35 | 4.10 | 7.50 | 1.01 | 1.14 | 2.65 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 381 | ლეჩნა-პოლონია | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 22:00 | 382 | ლეგია-ლეხი | 1.35 | 4.10 | 7.50 | 1.01 | 1.14 | 2.65 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 391 | იპლავა-ბოლესლავი | 3.10 | 2.90 | 2.20 | 1.49 | 1.28 | 1.25 |
| 19:00 | 392 | ბრნო-ბლშანი | 1.60 | 3.30 | 5.00 | 1.07 | 1.21 | 1.98 |
| 19:00 | 393 | ზლინი-სლავია | 2.85 | 2.90 | 2.40 | 1.43 | 1.30 | 1.31 |
| | | **გერმანია. თასი** | | | | | | |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 523 | აინტრახტი-არმინია | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 524 | ზტ.პაული-ბაიერნი | 8.00 | 4.50 | 1.30 | 2.88 | 1.11 | 1.00 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 525 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | **სლოვაკეთი. თასი** | | | | | | |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 16:00 | 550 | ტრნავა-ნიტრა | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| 16:00 | 551 | პეტრჟალკა-რუჟომბეროკი | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| | | **ესპანეთი. თასი(ნ)** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 23:30 | 529 | ესპანიოლი-სარაგოსა | 2.80 | 3.10 | 2.30 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| | | **საფრანგეთი. თასი** | | | | | | |
| | | **1.1 აპრილი** | | | | | | |
| 20:15 | 530 | პსჟ-ლილი | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 531 | ლიონი-მარსელი | 1.60 | 3.30 | 5.50 | 1.07 | 1.23 | 2.06 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 532 | რენი-მონპელიე | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | **ბელგია** | | | | | | |
| | | **თასი** | | | | | | |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 533 | მუსკრონი-შარლერუა | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 534 | ვარეგემი-სტანდარდი | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **თასი** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 14:00 | 537 | ცსკა-რუბინი | 1.40 | 3.60 | 8.00 | 1.00 | 1.19 | 2.48 |
| 19:00 | 538 | ტორპედო-ზენიტი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 15:00 | 539 | დინამო-სატურნი | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| 19:00 | 540 | ლოკომოტივი-სპარტაკი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| | | **იტალია** | | | | | | |
| | | **თასი** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 23:00 | 527 | უდინეზე-ინტერი | 4.20 | 3.10 | 1.90 | 1.78 | 1.30 | 1.17 |
| 23:00 | 528 | რომა-პალერმო | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| | | **ფინეთი. თასი** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 549 | კუოპიო-კტპ(ნ) | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |


CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | ცისფერყანწელთა ქუჩა №4 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 21 | |
| ოზურგეთი | იოანე პეტრიწის ქუჩა №3 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | თამარ მეფის №1 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ზუგდიდი | გამსახურდიას №41 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №17-29 | |

# ხელისუფლება წვეთოვანას ამზადებს

## ბევრს დასჭირდება სისხლის გადასხმა

*კულუარული ინფორმაცია ახლო მომავალში რამდენიმე ფედერაციაში დიდ საკადრო ცვლილებებს გვპირდება. საქმე რომ ჭორთან არ გვაქვს, უკვე ცხადია. დღეების წინ ეს ამბავი ქართული სპორტის ჩინოსნებისგან პირადად მოვისმინეთ. გუშინ კი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე* **დავით ნამგალაურთან** *უფრო ღიად ვისაუბრეთ. ყველაზე ცხელი ამბავი კრივის ფედერაციაში მოსალოდნელი ცვლილებებია. დღე-დღეზე შეიძლება, პრეზიდენტის სავარძელი კახეთის გუბერნატორმა პეტრე ცისკარიშვილმა ჩაიბაროს. ამ თემაზე საუბარი კარგა ხნის წინ დაწყებულა, შედეგი კი ალბათ ხვალ-ზეგ გვეცოდინება. ნამგალაურთან გუშინდელი ინტერვიუ სწორედ ცისკარიშვილსა და კრივის ფედერაციაზე საუბრით დავიწყეთ*

— ჯერ პასუხის გაცემა ძნელია. მოლაპარაკებები მიმდინარეობს და იმედია, უახლოეს დღეებში წარმატებით დასრულდება.

— დრო ცისკარიშვილმა ითხოვა?

— რა თქმა უნდა. კარგად გააანალიზებს, რა საქმეს ჰკიდებს ხელს და შეძლებს თუ ვერა დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას. მოვლენებს ნუ გავუსწრებთ, ჯერ ხომ პასუხი არ ვიცით.

— შეიძლება უარიც თქვას?

— არ გამოვრიცხავ, თუმც იმედია, დაგვთანხმდება. სპორტის მოყვარული კაცია და დადებითი პასუხით კრივისთვის კარგი სამსახურის გაწევა შეუძლია.

— პასუხს როდის იტყვის?

— ორ-სამ დღეში.

— თუ დაგთანხმდათ, როგორ შეათავსებს ორ საქმეს?

— სწორედ ეგ არის ფიქრის ერთ-ერთი მიზეზი, თორემ კრივისთვის რომ ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლია, ამაში ეჭვიც არ მეპარება.

— ცისკარიშვილის გარდა სხვა კანდიდატებზეც ხომ არ გიფიქრიათ?

— ამ ეტაპზე მხოლოდ ცისკარიშვილის კანდიდატურა გახმოვანდა, თორემ კრივის მიხედვა კიდევ რამდენიმე კაცს შევთავაზეთ. ასე რომ, არ გამოვრიცავ, მოვლენები სხვაგვარადაც განვითარდეს. ჩვენი საქმე სპორტის განვითარებაზე ფიქრი და მუშაობაა. ვცდილობთ, ყველა ფედერაცია ძლიერი იყოს და ღირსეული წინამძღოლი ჰყავდეს.

— კრივის ფედერაციის პრეზიდენტ გიორგი კანდელაკსაც თუ ესაუბრეთ?

— რა თქმა უნდა. მეეჭვება, მას საწინააღმდეგო ჰქონდეს. მგონი, თვითონაც უნდა უნდოდეს, გვერდით ისეთი ადამიანი ჰყავდეს, ვინც ბევრ პრობლემას მოუხსნის. დღეს კრივის ფედერაციაში კრიზისია. ფინანსების ნაკლებობას ვგულისხმობ. კრივს სჭირდება კაცი, რომელიც დიდი თანხების მოზიდვას შეძლებს. ფედერაციის მესვეურთაც სწორედ ასეთი პიროვნების მოძებნა შევთავაზეთ. ოღონდ ვინმე ნახონ და ქართულ კრივში მეტი ფული ჩაიდოს, ჩვენც ეგ არ გვინდა?!

— რატომ მაინცდამაინც კრივი და არა სხვა სახეობები?

— მარტო კრივზე რომ არ ვფიქრობთ, მგონი, ამის მტკიცება ზედმეტია. სხვა ფედერაციებშიც მოხდება ძვრები, ოღონდ ოდნავ მოგვიანებით.

— გაგვიმხელთ კონკრეტულად რომელ ფედერაციებში?

— მოდი, ნუ დავკონკრეტდებით. ისედაც ნათელია, ვის ჰყავს ძლიერი პატრონი და ვის არა. სხვათა შორის, რამდენიმე ფედერაცია თავად გვთხოვს, შეძლებული წინამძღოლის მოძებნაში დავეხმაროთ. რომ შევვეძლოს, ყველას სიამოვნებით გავუმართავდით ხელს, მაგრამ დამიჯერეთ, ძალიან ძნელია ასეთი ხალხის პოვნა და სპორტით დაინტერესება. მარტო სახელმწიფო სახსრები კი ყველას ვერაფრით გასწვდება.

— მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, კრივის შემდეგ სროლის ფედერაციაში უნდა ველოდოთ სიახლეებს...

— რაღაც მონახაზი სროლის ფედერაციასთან დაკავშირებით მართლაც არსებობს, მაგრამ ჯერ არ ვიცით, რა როგორ იქნება. ნინო სალუქვაძეც საქმის კურსშია.

— არ შემიძლია, არ გკითხოთ ის, რაც ხალხს დიდი ხანია აინტერესებს: რატომ მიდიან ხელისუფლების წევრები სპორტის სახეობათა სათავეებში?

— კითხვაზე კითხვითვე გიპასუხებთ. ძიუდო და ჭიდაობა ცუდ დღეშია? სწორედ ამ სახეობების ხელმძღვანელობაში არიან ხელისუფლების წევრები გია ნაცვლიშვილი და კახა გეწაძე. მშვენივრადაც ართმევენ თავს საქმეს. საერთოდ კი, ჩვენთვის ეს კრიტერიუმი არ არის. ოღონდ საქმე დავინახოთ და ვინც უნდა იყოს, ხელს მაქსიმალურად შევუწყობთ. ფედერაციები, რომლებმაც თავიანთი შესაძლებლობები ფაქტობრივად ამოწურეს, წინსვლით დაინტერესებული და ამის გამკეთებელ ხალხს უნდა გადავაბაროთ. ეს თავად ამ ფედერაციებისთვის იქნება მომგებიანი. დებულება და წესდება მარტო ფურცელზე არ უნდა ეწეროს.



ბაჩანა ილურიძის ფოტო

**ოთარ მაღლაკელიძე**

---

ჩოგბურთი



DAVIS CUP
BNP PARIBAS

## დევისის თასი. მსოფლიო ჯგუფი. მეოთხედფინალი. 7–9 აპრილი

**ავსტრალია 5:0 ბელარუსი**
მელბურნი. ავსტრალია
ჰარდი

**ხორვატია 2:3 არგენტინა**
ზაგრები. ხორვატია
ჰარდი (დარბაზი)

**საფრანგეთი 1:4 რუსეთი**
პო. საფრანგეთი
ჰარდი (დარბაზი)

**აშშ 3:2 ჩილე**
რანჩო მირაჟი. აშშ
ბალახი

# რუსი მარტო ჩვენზე არ მოდის
# ივანი იანკის დაეჯახა



ენდი როდიკს რუსებთან ჯახი ელის

AFP რანჩო მირაჟიდან

ამ უქმეებზე მსოფლიოს ოთხ საჩოგბურთო კუთხეში რვა ნაკრები ერთმანეთს დევისის თასის ნახევარფინალის საგზურს ეცილებოდა. ამ ოთხი სერიიდან მხოლოდ ზაგრებში გაჩაღდა ნაღდი ბრძოლა, დანარჩენებში კი ერთნი მეორეთ ჩაგრავდნენ. ჩვენც სწორედ ხორვატიული თრილერით დავიწყოთ.

პირველ რიგში ესაა სათქმელი — დევისის თასს წლეულს ახალი გამარჯვებული ეყოლება, რაკიღა შარშანდელი ტრიუმფატორი ხორვატია შინაურ კორტებზე არგენტინასთან დამარცხდა. ესეც სათქმელია, რომ ბალკანელებს ძალიან არ გაუმართლათ. მათი შარშანდელი წარმატების მთავარი შემოქმედები ხომ ივან ლიუბიჩიჩი და მარიო ანჩიჩი იყვნენ. ამ უქმეებზე კი ეს უკანასკნელი ტრავმის გამო ვერ დაეხმარა ნაკრებს. ასევე პრობლემები ჰქონდა ხორვატთა მესამე ნომერ ივო კარლოვიჩსაც. ასე რომ, ივან ლიუბიჩიჩს ფაქტობრივად მარტოს უნდა ეომა — ხორვატებს არცთუ გრძელი სკამი აქვთ.

ლიუბიჩიჩისთვის ეს დებიუტი იყო კაპიტნის რანგში. ჰოდა, ივანმაც პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა და ერთეულთა ორი შეხვედრა მოიგო, მაგრამ ეს არ გამოდგა საკმარისი საბოლოო გამარჯვებისთვის. გამოუცდელმა მარინ ჩილიჩმა და სასა ტუკსარმა ვერაფერი გააწყვეს გამოცდილი არგენტინელების წინააღმდეგ, რაც ხორვატების მარცხის მიზეზადაც იქცა.

არგენტინელებს კი გადამწყვეტი ქულა ხუან-იგნსიო ჩელამ მოუტანა, რომელსაც ტუკსარის დადასჩოგნად ოთხი საათი დასჭირდა.

ლიუბიჩიჩისთვის კი ეს, ალბათ, პირველი და უკანასკნელი მატჩი იყო კაპიტნის რანგში. სავარაუდოდ მას ხორვატთა ლეგენდა გორან ივანიშევიჩი შეცვლის:

არგენტინელები ნახევარფინალში ავსტრალიელებს შეხვდებიან, რომლებმაც ყველაზე იოლად გაიარეს მეოთხედფინალური ბარიერი. ოზებმა ბელარუსებს ხუთივე შეხვედრა მოუგეს. ახლა კი მათ არგენტინაში ვიზიტზე მოუწევთ ფიქრი — იქ სტუმრებს არცთუ თბილად ხვდებიან ხოლმე.

რუსები კი ფრანგების კოშმარად იქცნენ. სლავებმა უკანასკნელ ოთხ წელიწადში აგერ, უკვე მესამედ მოუგეს გალებს, თან ამჯერად ყოველგვარი პრობლემების გარეშე.

ფრანგებმა თავიანთთვის უიღბლო პარიზული ბერსის დარბაზში თამაშზე უარი თქვეს და მეტოქე მომცრო ქალაქ პოში „დაპატიჟეს“

— აქ არასოდეს წაგვიგია და იქნებ ეს ტრადიცია გაგრძელდესო. თუმც მათი კაპიტანი გი ფორჟე მთელი კვირა იმაზე წუწუნებდა, მარატ საფინი რაღა ამ მეოთხედფინალისთვის გამოჯანმრთელდა, ოდნავ მაინც თუა ფორმაში, აუცილებლად წავაგებთო. რუსთა ძველი კაპიტანი შამილ ტარპიშევი კი პირდაპირ სიმშვიდის განსახიერება გახლდათ და ჰქონდა კიდეც მიზეზი — სლავებს ხომ ასეთი ძლიერი და რაც მთავარია, კარგი სათადარიგოების მყოლი ნაკრები არასოდეს ჰყოლიათ.

პირველ სათამაშო დღეს რუსთა მთავარმა ძალებმა — საფინმა და ნიკოლაი დავიდენკომ — სლავები 2:0 დააწინაურეს. წყვილებში ტარპიშევმა ორივე დაასვენა და ბოლო დღისთვის შემოინახა. თუმც საფინის საქმეში ჩართვა საჭირო აღარ გახდა — დმიტრი ტურსუნოვმა ფრანგთა მთავარი იმედი რიშარ გასკე მეტად მძიმე, ხუთსეტიან ბრძოლაში გატეხა და თავის ნაკრებს მესამე, გამარჯვების ქულაც მოუტანა.

რუსები სექტემბერში მშობლიურ კედლებში ამერიკელებს მიიღებენ, რომლებმაც იოლად მოუგეს ჩილელებს.

ამერიკელებსაც საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა შეუგროვდათ. ჩილელების დამარცხებაში დიდი წვლილი წლეულს არცთუ კარგად მოთამაშე ენდი როდიკმა შეიტანა, რომელმაც ერთეულთა ორივე შეხვედრა მოიგო. მესამე ქულა კი ამერიკელებს უკანასკნელი წლების აშკარად საუკეთესო, ტყუპი ძმებისგან შემდგარმა — ბობ და მაიკ ბრაიანების წყვილმა მოუტანა.

**კახა ლომაშვილი**

# რუსის იმედი და ზენაიშვილის ბჭობა

*გუშინ თბილისში დაბრუნდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, რომელიც სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციის მე-16 გენერალური ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობდა.*

*როგორც ვიუწყებოდით, ასამბლეის სხდომის დასაწყისში ემზარ ზენაიშვილს გადაეცა ასოციაციის უმაღლესი ჯილდო — ღირსების ორდენი ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. ამგვარი პატივი ევროპის ქვეყნების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელთაგან ამჯერად მხოლოდ ემზარ ზენაიშვილს ხვდა წილად.*

*ისიც საინტერესოა, რომ აქამდე საქართველოდან ამ ჯილდოს მფლობელი მხოლოდ XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი ქალი ნონა გაფრინდაშვილი იყო.*

*გუშინ ემზარ ზენაიშვილს, მასთან საინტერვიუედ მისულებმა, თავდაპირველად სწორედ ამ ჯილდოს მიღება მივულოცეთ.*



— ეს ჯილდო უდიდესი აღიარებაა — გვეუბნება ემზარ ზენაიშვილი — ოღონდ ამ ჯილდოს მე აღვიქვამ როგორც საერთოდ საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის, ჩემი კოლეგების, მათი შრომის დაფასებად. ეს ჯილდო არა მხოლოდ ჩემი დაფასებაცაა, არამედ უდიდესი პასუხისმგებლობაც.

— ვალდებულებები და საქმე მართლაც თავზე საყრელად გაქვთ, მაგრამ ამჯერად სეულის ამბები უფრო გვაინტერესებს.

— ეს ასამბლეა, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება, მეტად წარმომადგენლობითი იყო. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მასში საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის, სპორტულ სტრუქტურათა და 201 ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების 1500-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა. აქ ANDC-ის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს მექსიკელი მარიო ვასკეს რანია, რომელიც ამ 30 წლის ორგანიზაციას აგერ, უკვე 20 წელი მეთაურობს. სხვათა შორის, იგი თბილისში რამდენჯერმე ნამყოფი. ANDC-ის გენერალურ მდივნადაც ძველ ხელმძღვანელს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტს, შვედ გუნილა ლინდბერგს ვხედავთ.

ასამბლეის მუშაობაში მრავალ თემაზე იმსჯელეს, მათ შორის უმთავრესი იყო სპორტში ძალადობის საკითხი, დოპინგის პრობლემა, ეოკ-თა ადგილი თანამედროვე საზოგადოებაში...

დიდი სჯა-ბაასი იყო ოლიმპიური თამაშების პროგრამაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით ახლა ეოკ-ებიდან, საერთაშორისო სპორტული ფედერაციებიდან და სოკ-ის კომისიებიდან გროვდება ინფორმაციები, რათა ისინი შეაჯერონ და ორი წლის მერე ოლიმპიურ პროგრამასთან დაკავშირებით რაიმე გადაწყვიტონ. სურთ, რომ ერთხელ და სამუდამოდ დადგინდეს პროგრამის 25 სახეობა, მაქსიმუმ 28, რომელთაგან 3 ცვალებადი სახეობა იქნება იმისდა მიხედვით, თუ კონკრეტულ პერიოდში როგორ პოპულარობით და მასობრიობით სარგებლობს.

— ალბათ მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძელთა სამზადისზეც იქნებოდა საუბარი. ჩვენთვის რომელი უფრო საინტერესო იყო?

— რა თქმა უნდა, ისაუბრეს პეკინის, ვანკუვერისა და ლონდონის სამზადისზე, მაგრამ ჩვენთვის და, ალბათ სხვებისთვისაც, ჩინეთის დედაქალაქის სამზადისზე საუბარი უფრო საინტერესო იყო, რადგან იგი უახლოესი მასპინძელია. ითქვა, რომ პეკინში ყველა პროექტი 2007 წლის ბოლომდე დასრულდება, ზოგიერთი კი გაისად აგვისტოში ან სექტემბრამდე, რათა მათი გამოცდა მოესწროს. გრანდიოზული მშენებლობა 31-დან 20 სპორტულ ბაზაზე მიმდინარეობს. განსაკუთრებული ტემპით მუშაობენ ისინი უმთავრესი სარბიელის — ეროვნული სტადიონისა და საწყლოსნო ცენტრის მშენებლობაზე.

ჩინური კედლის მშენებლებს, რალა თქმა უნდა, არც ამ მიზნის მიღწევა გაუჭირდებათ.

საინტერესოა, რომ პეკინში მთავარი ოლიმპიური სტადიონის მშენებლობა 377 მილიონი დოლარი დაჯდება, ხოლო საწყლოსნო ცენტრისა — 127 მილიონი.

სეულში პეკინის წარმომადგენლებთან შევთანხმდით, რომ აგვისტოში მოვინახულებთ ჩინეთის დედაქალაქის ოლიმპიურ ბაზებს, ოლიმპიურ სოფელს. შევთანხმდით იმაზეც, რომ ჩინეთის მხარეს დავუკვეთავთ ჩვენი ოლიმპიური ატრიბუტიკისა თუ სიმბოლიკების დამზადებას. ეს საქმე ჩინელებს მაღალი ტექნოლოგიების წყალობით ძალზე ემარჯვებათ, თანაც სხვებთან შედარებით იაფი ჯდება. ამიტომაც ჩინეთი მთელი მსოფლიოს მსგავსი პროდუქციის 90 პროცენტს აწარმოებს.

**— სეულში ალბათ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებითაც იქნებოდა საუბარი, რაც ბორჯომის სამასპინძლო ამბიციების გამო ერთიორად საინტერესოა...**

— სხდომაზე ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვიდა სოკ-ის ოლიმპიური თამაშების დირექტორი ჟილბერტ ფელი, რომელმაც შვიდივე აპლიკანტი ქალაქი, მათ შორის ბორჯომიც, რუკაზე აჩვენა და თქვა, რომ შვიდივე ამ ქალაქმა დროულად წარმოადგინა დოკუმენტები, რომელთა შესასწავლად ორი თვეა საჭირო და ექსპერტები თავიანთ დასკვნებს მაისის ბოლოს დადებენო. როგორც სოკ-ის პრეზიდენტმა თქვა, ალბათ კანდიდატის სტატუს ყველა ვერ მიიღებს, თუმცა, არაფერია გამორიცხული. მე კი მგონია, რომ კანდიდატად სამიოთხი ქალაქი დარჩება.

— რამდენადაც ვიცით, ამ ქალაქთა შანსებზე სეულში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის XV გენერალურ ასამბლეაზე ისაუბრა რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლეონიდ ტიაგაჩევმა, სოჭი სამ ყველაზე ნაღდ კანდიდატთა შორისაა. მის ყველაზე ძლიერ კონკურენტებად ჩვენ პიონჩანსა და ზალცბურგს მივიჩნევთო — თქვა მან, მაგრამ საინტერესოა, თქვენ რას იტყვით ამის თაობაზე.

— მიუხედავად იმისა, რომ ეს ასამბლეა კორეაში ჩატარდა, იქ პიონჩანის თემა არ გაყლერებულა. თუმცა, იგი გამარჯვების მთავარი კანდიდატი მგონია. მისი ერთგვარი რეკლამა იყო თავად ამ ასამბლეის სეულში ჩატარება და მისი ბრწყინვალე ორგანიზაციული დონე. ასამბლეის მონაწილენი საუკეთესო, დიდებულ სასტუმროებში დავაბინავეს. იყო ბანკეტები, მიღებები. ამასთან, გვინდა თუ არა, კარგად გვახსოვს სეულის ოლიმპიური თამაშები, მერე იქ გამართული საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატი, სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადა და სხვა სახეობებში ბრწყინვალედ ჩატარებული ტურნირები. თუმცა, გამორიცხული არაა, პიონჩანმა სხვა მოსაზრებების გამო ვერც გაიმარჯვოს. და მაინც, პიონჩანთან ერთად 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის მასპინძლობისთვის ბრძოლაში გასამარჯვებლად სოფიაზე, ხაკაზე და ჩვენს ბორჯომზე მეტი შანსი, ალბათ, ზალცბურგს, სოჭსა და ალმათის აქვთ.

სხვათა შორის, ბორჯომმა დააინტერესა ამერიკელი ჟურნალისტი „Around the Rings"-ის რედაქტორი ედ პულა, რომელიც საერთოდ ოლიმპიური თამაშების სამასპინძლო კანდიდატების თემაზე მუშაობს და საქართველოშიც ჩამოდის. მასთან ამ თემაზე ინტერვიუ საინტერესო იქნება, მით უმეტეს, რომ მას სოკ-ის კულუარებშიც შეესვლება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## ჭადრაკი

### ევროპის ჩემპიონატი

3-16 აპრილი. კუშადასი. თურქეთი

#### VII ტური

კაცები

კონსტანტინე შანავა (საქართველო) 1:0 მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო)

მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) 1:0 სარან გულიევი (აზერბაიჯანი)

ვლადისლავ ნევედნიჩი (რუმინეთი) 0,5:0,5 ზვიად იზორია (საქართველო)

ბაადურ ჯობავა (საქართველო) 0,5:0,5 ბართლომეო მაჩეია (პოლონეთი)

მათეუს ბარტელი (პოლონეთი) 1:0 გიორგი ყაჭეიშვილი (საქართველო)

რიჩარდ ალმონდი (ინგლისი) 0:1 ლევან აროშიძე (საქართველო)

დავით არუთინიანი (საქართველო) 1:0 რობერტ კემპინსკი (პოლონეთი)

ქალები

სოფიო გვეტაძე (საქართველო) 0,5:0,5 ანა უშენინა (უკრაინა)

ანჯელია სტოიანოვიჩი (შერბია-ჩერნოგორია) 0:1 ნანა ძაგნიძე (საქართველო)

მაია ლომინეიშვილი (საქართველო) 0,5:0,5 ელინა დანიელიანი (სომხეთი)

მარტა ზიელინსკა (პოლონეთი) 0:1 ბელა ხოტენაშვილი (საქართველო)

ანა გავაშელი (საქართველო) 0:1 ელიზაბეტ პანცი (გერმანია)

ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) 0,5:0,5 ტატიანა შადრინა (რუსეთი)

ნინო ხურციძე (საქართველო) 1:0 ანა კრისტინა კალოტესკუ (რუმინეთი)

ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) 1:0 ილაჰა კადიმოვა (აზერბაიჯანი)

სალომე მელია (საქართველო) 1:0 მეიჰრიბან შუკუროვა (აზერბაიჯანი)



სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31);"სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (ალმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

**მსოფლიოს ჩემპიონატი. მეორე ეტაპი**



AFP

ვალენტინო როსიმ ლეგენდარულ მიკ დუეინის რეკორდს გაიმეორა

# ლეგენდა ლეგენდას დაეწია

**სპარსეთის ყურის** სანაპიროსთან, უდაბნოში გაყვანილ ჩქაროსნულ ტრასაზე, მესამედ გათამაშდა ყატარის მოტო დიდი პრიზი. სამივე კლასში დაძაბული და ლამაზი ბრძოლა იყო, გამორჩეულად თვალსასეირო კი 250 კუბურსანტიმეტრიან კატეგორიაში.

კვალიფიკაცია 19 წლის ესპანელმა ხორხე ლორენცომ მოიგო, სტარტზე მას გვერდით თანამემამულე-თანაგუნდელი ექტორ ბარბერა ედგა, ოდნავ უკან — იტალიელი რობერტო ლოკატელი.

დასაწყისშივე დიდი ამბები მოხდა. ყველაზე ყოჩაღად ლოკატელი დაიძრა და რთულ პირველ მოსახვევში პირველი შეიჭრა, მაგრამ მალე თანამემამულე ანდრეა დოვიზიოსომ გაასწრო. ესპანელები შეფერხდნენ და ხუთ-ხუთი პოზიცია დაკარგეს. მეტოქის გვერდის ავლისას შეცდა სანმარინოელი ალექს დე ანჯელისი და ტრასიდან მოხრეშილ ზონაში გადასრიალდა. უკვე პირველი წრის ბოლოს ლორენცო მესამე გახდა. მერე ტრეკიდან ლოკატელიც მოსრიალდა, მისდა საბედნიეროდ, მოტორაში არ დაზიანებულა და იტალიელმაც რბოლა გააგრძელა, თუმც ლამის ქარავანის ბოლოში, 21-ე პოზიციაზე აღმოჩნდა. მაგრამ გააფთრებით იბრძოლა და უკვე შუა დისტანციაზე მეშვიდე იყო.

ლორენცომ ლიდერ დოვიზიოსოსთან ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა და მალე ადვილად ჩამოიცილა გზიდან. ახლა უკვე იტალიელს მოუხდა პოზიციის დასაბრუნებლად ჭიდილი — სამი წრით ადრე წამოიწყო შეტევები და რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ, ბოლო წრეზე მაინც შეძლო მიზნის მიღწევა. დასკვნით ორიოდე კილომეტრზე მოჭიშპეებმა მშვენიერი სპექტაკლი მოაწყვეს. ლიდერი ოთხჯერ შეიცვალა — ლორენცომ მეწინავეობა დაიბრუნა, რამდენიმე მოსახვევის შემდეგ ანდრეა კვლავ წინ გავიდა და რბოლის ბედიც გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ ხორხემ მცირე შეცდომაზე „დაიჭირა" და ფინიშის ხაზიც პირველმა გადაკვეთა მიკროსკოპული, 0,08 წამიანი უპირატესობით. ლოკატელიმაც ზედ ფინიშზე წაართვა ბარბერას საპოდიუმე ადგილი.

„სამეფო კლასში" მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა, ვალენტინო როსიმ დიდებულად იქროლა და, მიუხედავად იმისა, რომ სტარტზე საკმაოდ უკან, მეექვსე იდგა, თავიდანვე შეუდგა საქმეს — სამი პოზიცია მოიგო, დისტანციის მესამედის გავლის შემდეგ კი მიყოლებით ჩამოიტოვა ამერიკელი ნიკი ჰეიდენი და მეპოულე, ავსტრალიელი კეისი სტოუნერი.

ჰეიდენი როსის ბოლომდე მედგრად გაუძალიანდა, ერთხელ, მცირე ხნით ლიდერობაც ჩამოართვა, მაგრამ 27 წლის „დოქტორ" ვალენტინოს არ გასჭირვებია მორიგი დიდი პრიზის დასაკუთრება, რაც 54-ეა მის ზღაპრულ კარიერაში და ასევე ხუთგზის გვირგვინოსან ავსტრალიელის, მიკ დუეინის რეკორდი გაიმეორა.

**გია ახალაძე**

**ყატარის დიდი პრიზი. დოჰა — 5380 მ**

**მოტო გრან პრი — 118,4 კმ**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვალენტინო როსი (იტალია, ქემელ იამაჰა) | 43 წთ; 22,2 |
| 2 | ნიკი ჰეიდენი (აშშ, რეპსოლ ჰონდა) | ჩამორჩა 0,9 |
| 3 | ლორის კაპიროსი (იტალია, დუკატი მარლბორო) | 1,5 |

**საერთო ჩათვლა**

1 კაპიროსი 41 ქულა; 2 ჰეიდენი 36; 3 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) 30; 4 როსი 27; 5 ტონი ელიასი (ესპანეთი, ფორტუნა ჰონდა) 21

**250 სმ³ — 107,6 კმ**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) | 41 წთ; 29,9 |
| 2 | ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, რეისინგ ჰონდა) | ჩამორჩა 0,08 |
| 3 | რობერტო ლოკატელი (იტალია, ტოტი აპრილია) | 19,4 |

**საერთო ჩათვლა**

1 ლორენცო 50 ქულა; 2 დოვიზიოსო 36; 3 ლოკატელი 25; 4 ექტორ ბარბერა (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) 24; 5 ჰიროსი აოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) 21

**125 სმ³ — 96,8 კმ**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ალვარო ბატისტა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) | 38 წთ; 56,6 |
| 2 | მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) | ჩამორჩა 6,76 |
| 3 | სერხიო გადეა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) | 6,77 |

**საერთო ჩათვლა**

1 ბატისტა 50; 2 კალიო 33; 3 მატია პასინი (იტალია, ასპარ აპრილია) 29; 4 გადეა 25; 5 ლუკაშ პესეკი (ჩეხეთი, დერბი რეისინგი) 20



# ნორჩებს ფესტივალიც ჰყოფნით

**მაშინ,** როცა 19-წლამდელი ბორჯღალოსნები დუბაიში ელიტაში მოსახვედრად მსოფლიოს თასზე თამაშობენ, 18-წლამდელები კი ვენეციის შემოგარენში ევროელიტაში დარჩენისთვის იბრძვიან, 17-წლამდელები ინგლისში გაემგზავრნენ თანატოლებთან სარაგბოდ.

17-წლამდელთა ნაკრები წლეულს პირველად შეიქმნა და რაკი ამ ასაკში ჩემპიონატები არ ტარდება, გამოცდილების მიღება სარაგბო ფესტივალებზე მოუწევთ. სარაგბო ფესტივალებში არ თამაშდება თასები და არ იწერება ქულები. ეს ტურნირები ნორჩი მორაგბეების დასალვინებლადაა მოგონილი.

სწორედ ასეთი შეჯიბრებისთვის შეიქმნა 17-წლამდელთა ნაკრებიც, რომელიც ინგლისში სომერსეთის „მილფილდის" ფესტივალზე გაემგზავრა. ჩვენები ფესტივალზე სარაგბო ქველმოქმედმა, პროგრამა „SOS"-ის მამამთავარმა ჯონ ბროუდფუტმა დაპატიჟა.

ნორჩი ბორჯღალოსნები შვიდი კლუბიდან შეიქმნა. „უნივერსიტეტის" ფარმკლუბმა „ლურჯმა ხარებმა" ნაკრებში ექვსი მორაგბე მიავლინა, „ლელომ" და „ქუთაისმა" ხუთ-ხუთი, „ყოჩებმა" ოთხი, „არმაზმა" სამი, „ხულიგანამ" ორი და „ბათუმმა" ერთი.

ინგლისში ეს მორაგბეები გაემგზავრნენ: *კოდერძი ჯოვლიძე, ზურაბ ვოგლიჩაძე, რატი ხუციშვილი, ბექა ჭაბუკიანი, ვახტანგ კავთიძე, გიორგი ონიანი, სოლომონ მჟავანაძე, გიგა კორკელია, გივი ნადარეიშვილი, გიორგი ლომინაძე, ლევან გოგია, შავლეგ მახარაშვილი, დავით ბარბაქაძე, მიხეილ ნარიაშვილი, გიორგი თორაძე, რობერტ აბესლამიძე, გიორგი მოწყობილი, დავით ხოსიტაშვილი, დავით ჯვარშეიშვილი, ლადო გუნიავა, ვიქტორ კოლელიშვილი, ირაკლი რევიშვილი, ალეკო სალუქვაძე, ოთარ მეტრეველი, თენგიზ მარგველაშვილი, კოტე კობახიძე.*

„მილფილდის" ფესტივალს ჩვენი 17-წლამდელები დღეს დაიწყებენ და ინგლისში 16 აპრილამდე დარჩებიან. ნორჩი ბორჯღალოსნების მწვრთნელები დავით გოცაძე და დავით გორდულაძე არიან, ნაკრებს კი გიორგი მამარდაშვილი მენეჯერობს.

**ბაჩო სვანიძე**





# ქართველის მაკედონიური თასი

**სასიამოვნო** ცნობა მაკედონიიდან: 23 წლის ქართველმა ხელბურთელმა რევაზ ჭანტურიამ სკოპიეს „მეტალურგის" შემადგენლობაში ამ ქვეყნის თასი მოიპოვა.

შაბათს ბოგდანცის „მლადოსტთან" ნახევარფინალურ შეხვედრაში „რეაქტიულმა" ცაციამ, რომელიც მეორე სეზონია სკოპიელთა ღირსებას იცავს, ორი გოლი გაიტანა, „მეტალურგმა" კი სამბურთიანი სხვაობით გაიმარჯვა — 28:25.

ფინალი დედაქალაქური დერბი გამოდგა — მეტალურგები „ვარდარს" დაუპირისპირდნენ. აღსანიშნავია, რომ ამავე მეტოქეთა შარშანდელი გადამწყვეტი სათასო მატჩი „ვარდარმა" მოიგო.

კვირას „მეტალურგმა" რევანში აიღო — 26:25. ბოლომდე დაძაბული თამაში ბურთი ბურთში მიდიოდა, თუმც თითქმის ერთთავად რეზოს გუნდელები იყვნენ წინ. ჭანტურიამ სასტარტო შემადგენლობაში კი დაიწყო, მაგრამ მხოლოდ ათიოდე წუთი დაჰყო მოედანზე, რადგან ფეხის ძველმა ტრავმამ შეაწუხა.

„მეტალურგი" მაკედონიის 12-გუნდა ჩემპიონატში პირველ ადგილზეა და საოქროო პლეი ოფში თამაშიც პრაქტიკულად განაღდებული აქვს.

ერთ თვეში ევროპის ყველა ქვეყნის ჩემპიონატი დასრულდება და იმედია, სხვა ქართველი ლეგიონერების წარმატების ამბავსაც შევიტყობთ.



# კორსიკის ახალი მეფე

**მსოფლიოს** ორგზის ჩემპიონმა სებასტიენ ლოებმა ზედიზედ მესამე რბოლა მოიგო და უფრო გაიმყარა ლიდერობა. 32 წლის ფრანგი მერალე მშობლიური დიდი პრიზის მეორედ დასაკუთრების შემდეგ ჟურნალისტებმა „კორსიკის მეფედ" მონათლეს.

რბოლა კუნძულ კორსიკის მთავარქალაქ აიაჩოს შემოგარენში ვიწრო ასფალტიან გზებზე ტარდება. ჩახლართული პროფილის გამო ეს ეტაპი „ათასი მოსახვევის რალის" სახელითაა ცნობილი.

ლოებმა 12-დან პირველივე ჩქაროსნული მონაკვეთის მოგებით ხელთ იგდო მეწინავეობა და ბოლომდე აღარც დაუთმია. ის კი არა, ბოლოსწინა, მეორე დღის შემდეგ უახლოეს მდევარს, ასევე ორგზის გვირგვინოსან მარკუს გრონჰოლმს უკვე 40 წამს უგებდა. ამდენად, ფინელს დარჩენილ დისტანციაზე გაბრძოლება აღარც უცდია:

„თავიდან საჭემ შემიქმნა პრობლემები, შემდეგ ამორტიზატორებმა. სიმართლე ითქვას, სებასტიენის გასწრების არანაირი შანსი არ მქონია, ამდენად მეორე ადგილით და რვა ქულით სრულიად კმაყოფილი ვარ. ვულოცავ წარმატებას და მოუთმენლად ველი მომდევნო ეტაპს. იმედი მაქვს, არგენტინაში ლოების ჯერი დადგება, რომ ჩემი მისამართით გამოთქვას კომპლიმენტი."

უმწვავესი ბრძოლა გაჩაღდა მესამე ადგილისთვის იუნიორთა შორის შარშანდელ ჩემპიონ დანიელ სორდოსა და მიკო ჰირვონენს შორის. თითქმის ორი დღე მიკო იყო წინ, 22 წლის დენიმ მხოლოდ მერვე უბანზე შეძლო მეტოქის ჩამოტოვება 5,5 წამით და ფინიშამდე შეინარჩუნა საპოდიუმე პოზიცია.

მეექვსე ეტაპს არგენტინა 28-30 აპრილს უმასპინძლებს.

**გია ახალაძე**

**WRC WORLD RALLY CHAMPIONSHIP — მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში**
**მეხუთე ეტაპი. საფრანგეთი. 354,2 კმ**

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | 3სთ; 43.05,4 |
| 2 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ფორდი) | ჩამორჩა 29,0 |
| 3 | დანიელ სორდო (ესპანეთი, სიტროენი) | 1.48,7 |
| 4 | მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი) | 1.59,2 |
| 5 | ალექს ბენგუ (საფრანგეთი, პეჟო) | 2.47,7 |
| 6 | ხავიერ პონსი (ესპანეთი, სიტროენი) | 3.10,2 |
| 7 | მანფრედ შტოლი (ავსტრია, პეჟო) | 5.01,3 |
| 8 | სტეფან სარაზინი (საფრანგეთი, სუბარუ) | 5.21,9 |

**საერთო ჩათვლა**

1 ლოები — ელენა 46 ქულა; 2 გრონჰოლმი — რაუტიაინენი 35; 3 სორდო — მარტი 20; 4 შტოლი — მინორი 13; 5 პეტერ სოლბერგი — ფილ მილსი (სუბარუ) 10; 6 ბენგუ — ესკუდერო 9; 7 ჰირვონენი — ლეჰტინენი 7; 8 ტონი გარდმაისტერი — იაკე ჰონკანენი (ფინეთი, პეჟო) 6; 9 დანიელ კარლსონი — ბიორნ ჰოლმსტრანდი (შვედეთი, მიცუბისი) 6; 10 სარაზინი — პრევო 6

**კონსტრუქტორთა თასი**

კრონოს ტოტალ სიტროენი 59 ქულა, BP-ფორდი 56, სუბარუ WRT 38, OMV პეჟო ნორვეი 21, რედ ბულ შკოდა 11, სტობარტ VK ფორდ 10

# თქვენი ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან

თქვენი მორიგი რესპონდენტი საქართველოს საკალათბურთო ნაკრების და „ატლანტა ჰოქსის" ცენტრალური თავდამსხმელი ზაზა ფაჩულია იქნება.

მოგვაწოდეთ კითხვები და ნბა-ს ყველაზე წარმატებულ ქართველთან ინტერვიუ არაუგვიანეს 25 აპრილამდე გამოქვეყნდება.



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

## საქართველოს ჩემპიონატი

**10 აპრილი. ვერის ბაღი.**

**სტუ 103:96 ავიამშენი**

*19:34 27:13 31:19 26:30*

**სტუ:** ნინუა (4), მიქაძე (13), ლოსაბერიძე (16), ლ. შანიძე (19), მათიაშვილი (13); კეიდია (23), კოხრეიძე (4), ახალკაცი (6), მურჯიკნელი (5), ქისტაური,

**ავიამშენი:** ნიკოლაძე (14), ტულუში (16), მარკოიშვილი (17), მინაშვილი (13), როდუმტა (10); ხოშტარია (10), ჩხატარაშვილი (8), ბ. ბერიშვილი (8), ნინიაშვილი, დ. ბერიშვილი

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** როლანდ გელოვანი

**დინამო 91:59 სსუ**

*21:28 28:4 22:13 20:14*

**დინამო:** გულისაბედაშვილი (11), ბადრიძე (15), ლაფანაშვილი (14), დევიძე (3), სუხიშვილი (14); ძიძიგური (15), წივწივაძე (10), წერეთელი (5), დერიუგინი (2), სიგუა (2)

**სსუ:** პატარაია (12), ჯიქია (2), გასიტაშვილი, გ. ჯგერენაია (13), ლ. ნოზაძე (14); ონიკაშვილი (14), რობიტაშვილი (3), ცერცვაძე (1), ანთაძე

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**10 აპრილი. რუსთავი**

**აზოტი 107:78 მაკაბი**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ავიამშენი | 27 | 22 | 5 | +512 | 49 |
| თსუ | 27 | 22 | 5 | +327 | 49 |
| სტუ | 27 | 19 | 8 | +174 | 46 |
| აზოტი | 27 | 19 | 8 | +417 | 46 |
| დინამო | 27 | 12 | 15 | +71 | 39 |
| მაკაბი | 27 | 7 | 20 | -436 | 34 |
| ქუთაისი | 27 | 5 | 22 | -296 | 31 |
| სსუ | 27 | 2 | 25 | -754 | 29 |

*ქუთაისს დაკლებული აქვს ერთი ქულა*

# ავიაციამ ქუთაისში მობილიზაცია გამოაცხადა
## სტუ-მ ლიდერი ტექნიკურად დაამარცხა

პარასკევს ქუთაისში დაწყებული ტური გუშინ შუადღისას თბილისში გაგრძელდა და საღამოს რუსთავში, „აზოტი" — „მაკაბის" თამაშით დასრულდა.

რაც იმერლებს ქუთაისში თამაშის ნება დართეს, მას შემდეგ „ქუთაისის" მატჩები თბილისისას არ ემთხვევა და ასე გარიყულად ტარდება ხოლმე. იმერლებმა პარასკევს „თსუ-ნიკორა" ისტუმრეს და ისე დამარცხდნენ, მეტოქეს პრობლემები თითქმის ვერ შეუქმნეს.

მთავარი მატჩი კი გუშინ ვერის ბაღში გაიმართა, თუმც სატურნირო თვალსაზრისით ინტრიგა თითქმის არ ჰქონია. პირველობადაბევებული „ავიამშენი" სტუ-ს ხვდებოდა და მოგება იმისთვის სჭირდებოდა, რომ ქუთაისში ბოლო ტურის სათამაშოდ ახალგაზრდებით წასულიყო და ლიდერები დაესვენებინა. ეს თავად ავიატორთა მწვრთნელმა ვაჟა მხეიძემ თქვა.

უნდოდათ, მაგრამ ავიატორებმა ტექნიკოსები ვერ დაამარცხეს. ლევან მოსეშვილმა ნაცადი მოთამაშეების ნაწილი დაასვენა და ექსპერიმენტული შემადგენლობით ერთხანს 17 ქულითაც ამარცხებდა სტუ-ს, მაგრამ როცა სტუდენტებმა სისწრაფე აკრიფეს, მერე ავიატორებმა ვითარება ვეღარ გამოასწორეს.



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

თამაში ისე დაიწყო, როგორც „ავიამშენს" აძლევდა ხელს. სტუ-მ თავიდანვე სცადა მეტოქის კონტრშეტევებზე წამოგება, მაგრამ ავიატორთა ჩუბინობამ მათ ამის საშუალება არ მისცა. გიორგი ნიკოლაძემ და კოტე ტულუშმა სტუდენტების კალათი შორიდან გაიგემრიელეს და „ავიამშენს" სამქულიანებით კვებავდნენ.

მე-5 წუთისთვის „ავიამშენი" ორმაგი სხვაობით გაიჭრა წინ (22:11), ხოლო მეოთხედი სულაც 15 ქულით მოიგო — 34:19. ამან მოსეშვილს ალბათ იოლი გამარჯვების რწმენა ჩაუსახა და მეორე მეოთხედიდან მოედანზე ავიატორთა სათადარიგონი ვიხილეთ. ნიკა ჩხატარაშვილი და თორნიკე ნინიაშვილი კარგი ბიჭები არიან, მაგრამ ტექნიკოსთა მაღლებთან საბრძოლველად ფხა არ აღმოაჩნდათ.

მეორე მეოთხედის შუაწელში „ავიამშენი" 10 ქულით იგებდა და ეს უპირატესობა ორ წუთში გაანიავა. ლუკა შანიძემ ფარქვეშეთში ჰეგემონია დაამყარა, რომელსაც ხელს გულივერ ახალკაციც უწყობდა და 13:0 მოგებული მონაკვეთის შემდეგ სტუ-მ ლიდერობას გამოჰკრა ხელი — 40:38.

მოსეშვილმა ნინიაშვილი მყისვე გაიხმო მოედნიდან და მის ნაცვლად კამერუნელი პლასიდე როდუმტა შეიყვანა, რაც თამაშსაც დაეტყო. ავიატორთა მეფარე ვახტანგ მინაშვილმა როდუმტას მხარდაჭერა შეირგო და რამდენიმე ზუსტი შეტევის შემდეგ თავისიანებს ლიდერობა დაუბრუნა. ტაიმი კი ავიატორთა ქულიანი უპირატესობით გასრულდა.

„ავიამშენის", უფროსობა მიხვდა, რომ სტუ-სთან ხუმრობა არ შეიძლებოდა და მეორე ტაიმი იმ მოთამაშეებით დაიწყო, რომლებიც სასტარტო ხუთეულში იყვნენ. ამან მოსეშვილის სამწყსოს ფარზე ხეირი კი მოუტანა, მაგრამ ტექნიკოსები უკანა ხაზზე გადაეწყვნენ და წარმატებითაც.

თანაც, ისე დაემთხვა, რომ ავიატორებს სამიზნე წაუხდათ და მათი აცილებული ბურთები ტექნიკოსთა უსწრაფესი კონტრშეტევების გავლით მათსავე კალათში ცვიოდა. სტუ-მ თამაშის განახლებიდან ორიოდ წუთში მოიპოვა სოლიდური ლიდერობა და ლევან მოსეშვილმაც მერეღა უხმო მოედანზე ირაკლი ხოშტარიას.

ავიატორთა ლიდერის თამაშში ჩართვამ თამაშის რიტმი ვერ შეცვალა. ტექნიკოსები არ ცხრებოდნენ და ლაშა ლოსაბერიძის სწრაფგარღვევების შედეგად ათქულიანი ჰანდიკაპიც გაიფორმეს — 62:52.

გადამწყვეტი მეოთხედის იმედად დარჩენილ ავიატორებს შანსი ებოძათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. მეოთხე ათწუთეულის პირველივე წამებიდან აიწყვიტა ხოშტარიამ, ვისაც ავიატორთა მაღლებმაც შეაშველეს ხელი და თამაშის დასრულებამდე 7 წუთით ადრე მოსეშვილის გუნდმა ქულამდე შემცირა ჩამორჩენა. დაწინაურებაც შეეძლო, თუმც ირაკლი ხოშტარიას ფარქვეშიდან აუცდა და ქულათა ხვეჭის ესტაფეტა ისევ ტექნიკოსებმა გადაიბარეს.

ზვიად მიქაძე, ლაშა ლოსაბერიძე და სხვა ტექნიკოსები ისე იოლად შედიოდნენ მეტოქის ფარქვეშ, „ავიამშენის" დაცვა საცერი გეგონებოდათ. ამას ავიატორთა მიზანმრუდობა დაერთო და სტუ-მ ათქულიანი უპირატესობა კვლავ დაიბრუნა — 88:78 სირენამდე 4 წუთით ადრე...

**ირაკლი პერტაია**


# ნამალი „სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მინებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი „სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

„სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გიგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" თვისებები აპრობირებული და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


## NBA
### რეგულარული ჩემპიონატი

9 აპრილი

**მინესოტა 84:83 ატლანტა**

**მინესოტა:** მაკანტსი (28)

**ატლანტა:** ფაჩულია (29 წუთი, 13 ქულა, 12 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა)

**სიეტლი 116:114 ფინიქსი**

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**დეტროიტი 98:73 ინდიანა**

**მილუოკი 83:95 ნიუ ჯერსი**

**ბოსტონი 86:101 ნიუ იორკი**

**სან ანტონიო 83:81 მემფისი**

**ტორონტო 88:94 შარლოტი**

**მაიამი 84:93 ორლანდო**

**საკრამენტო 86:77 ჰიუსტონი**

**ლეიკერსი 100:83 კლიპერსი**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლუიზა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge